პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეთოთხმეტე

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, ხამდივნოს— 10—58, მთ. კანტორის—3—81.

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი
21
ივნისი
1934 წ.
№ 142 (3998)

# საკავშირო ცაკის დადგენილება

## ს.ს.რ. კავშირის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს ლიკვიდაციის, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის ს. ს.რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის დარქმევის და ამხ. ი. ბ. გამარნიკის და მ. ნ. ტუხაჩევსკის ს. ს. რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეებად დამტკიცების შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის დარგში ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“ 1934 წლის 15 მარტს მიღებულ დადგენილებასთან შეფარდებით (ს. ს. რ. კავშირის 1934 წლის კანონთა კრებული, № 15, მუხ. 103) — ს. ს. რ. კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭო, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგია ჩაითვალოს ლიკვიდირებულად.

2. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს დაერქვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი და ამიერიდან მას ეწოდოს: „ს. ს. რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი“.

3. დამტკიცებულ იქნას ს. ს. რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე: პირველ მოადგილედ — ამხ. იან ბორისის-ძე გამარნიკი, მეორე მოადგილედ — ამხ. მიხეილ ნიკოლოზის-ძე ტუხაჩევსკი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი
ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის
მოვალეობის აღმსრულებელი ა. მედვედევი

მოსკოვი, კრემლი 1934 წლ. 20 ივნისი.

# სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი მასებში

ჩვენი გაზეთის 17 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება ჩვენს რესპუბლიკაში 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ. იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ განვითარებას და მის გაძლიერებას, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ ბერკეტს. წინააღმდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ საგადასახადო „წესებისა“ (ე. ი. უწესოებისა და უკანონობისა), რომელთა დანიშნულებაა გაბატონებულ კლასებისა და მათი სახელმწიფოს გამაგრება მშრომელი და გაძვალტყავებული მოსახლეობის ხარჯზე და მის დასათრგუნავად, პროლეტარულ სახელმწიფოს მიერ დაკანონებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ისახავს სრულიად საწინააღმდეგო მიზანს-ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებას, კოლმეურნეთა შეძლებულად გახდომას, ხვალინდელ კოლმეურნეთა, მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მთელი პროლეტარული სახელმწიფოს კიდევ უფრო განმტკიცებას. მაგრამ ასეთ როლს შეასრულებს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მით უფრო წარმატებით, რაც უფრო სწორად იქნება ის გატარებული ე. ი. გატარებული იმ წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია მთავრობის მიერ. და ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვსურს მივაქციოთ ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება რამოდენიმე ძირითად მომენტზე. ეს მომენტებია: დასაბეგრი ობიექტები, შეღავათები, მოსამზადებელი მასობრივი მუშაობა და კანონის გატარების დროს დამახინჯებათა თავიდან აცილება.

უდიდესი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის კარგად გატარებისათვის აქვს ამ გადასახადით დასაბეგრი ობიექტების სავსებით და სწორად გამორკვევას, შემოსავლის სრულ აღრიცხვას. ჩვენ ვიცით წარსული წლების გამოცდილებით, რომ სწორედ ეს საკითხი იწვევდა ბევრ გაუგებრობას და უკმაყოფილებას ფინორგანოების მუშაობით. ამასთან ერთად ხდებოდა ისე, რომ საფინანსო ორგანოების უყურადღებობის ან სისუსტის გამო ზოგჯერ თავისუფლდებოდა ინდივიდუალური წესით დასაბეგრი (კულაკური) მეურნეობანი პირიქით ადგილი ჰქონდა ერთპიროვნული შრომითი მეურნეობის ამ წესით დაბეგვრას, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული. ამიტომ კულაკური მეურნეობათა სავსებით გამორკვევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არა მარტო იმ ორგანოებმა, რომელთაც ეს კანონით აქვთ დავალებული, არამედ მთელმა ადგილობრივმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს იმასაც, რომ გადასახადის გატარების წესი არ დაირღვეს ერთპიროვნულ შრომითი მეურნეობათა მიმართაც. ამას უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და სრულიად სამართლიანად ამახვილებს კანონი აღმასკომების, ფინორგანოების და პროკურატურის ყურადღებას ამ საკითხზე.

არანაკლებ საზრუნავი საქმეა ჩვენთვის საკითხი იმ შეღავათების შესახებ, რომლებითაც უნდა ისარგებლონ გადამხდელებმა. ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები მოწოდებული არიან „უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონით გათვალისწინებული შეღავათების თავის დროზე სავსებით მინიჭება გადამხდელებისათვის“. იმისაგან თუ რამდენად სწორად და დროულად იქნება გატარებული ეს შეღავათები ბევრად არის დამოკიდებული ისეთი, ჩვენს პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანი, კულტურების განვითარება კოლმეურნეობებში. როგორიც არის ტექნიკური და სპეციალური კულტურები, ისეთი დარგების განვითარება, როგორიც მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა. ამავე წახალისების, მეტი სტიმულის მიცემის მიზნით დაწესებულია შეღავათები მოსავლიანობის გადიდებისათვის კოლმეურნეობებში. იმ მოწინავე კოლმეურნეობებს, რომლებიც სათანადო აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით უზრუნველყოფენ „უმნიშვნელოვანესი კულტურების მოსავლიანობის გადიდების გეგმას“ შეწერილი გადასახადი შეუმცირდებათ ხუთმეტი პროცენტით.

როდესაც ლაპარაკია შეღავათებზე, ერთი წუთითაც არ შეიძლება გაუშვათ მხედველობიდან ისეთი კატეგორიები, როგორიც არიან წითელ-არმიელები. აქ უნდა ითქვას, რომ, ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოების დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო, არის შემთხვევები წითელარმიელთა იმ შეღავათების შეუსრულებლობისა, რომელიც მათ აქვთ საზოგადოდ მინიჭებული საბჭოთა კანონებით. არ განმეორდეს ამ შემთხვევაშიც მსგავსი დამახინჯებანი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონში ფრიად დიდი ადგილი უკავია შეღავათებს ყველა ჩამოთვლილ კულტურის ხაზით კოლმეურნეობათათვის, კოლმეურნეებისათვის. აგრეთვე წითელ არმიელთათვის, შეუძლო მშრომელ მეურნეთათვის, სტიქიური უბედურებით დაზარალებულთათვის. საბჭოთა მთავრობა დიდ შესაძლებლობას აძლევს მათ გამოიჩინონ სამეურნეო, საწარმოო ინიციატივა, გაშალონ ფართო მუშაობა. ერთი უმთავრეს მომენტთაგანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ზეგავლენისა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე არის სწორედ ის შეღავათები, რომლებსაც ეს კანონი შეიცავს. (გადასახადი იძლევა ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო თანხის 8 პროცენტს, აბსოლუტური ციფრით-16.4 მილიონ მანეთს) აქედან ბუნებრივია ამ შეღავათების მნიშვნელობა, გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელსაც ხელისუფლება აქცევს მათ და მოუწოდებს ადგილობრივ ორგანოებს სიფხიზლისაკენ.

სწორედ ეს სიფხიზლეა საჭირო, რომ თავიდან ავიცილოთ შესაძლებელი დამახინჯებანი კანონის გატარების ყველა საფეხურზე. და სწორედ აქ არის საჭირო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გამახვილებული ყურადღება, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ამოძრავება, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაჩაღება კანონის ირგვლივ, მოსამზადებელი მუშაობის გაშლა, რათა დაწესებულ ვადებში (15 სექტემბერი-15 ოქტომბერი) სრული სამეურნეო პოლიტიკური ეფექტით ჩატარდეს გადასახადი ყოველგვარ გადამახინჯებათა და გაუგებრობათა გარეშე.

# გამოვასწოროთ სამარცხვინო ჩამორჩენა
## შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავებაში

### სამარცხვინო ჩამორჩენა
(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის 30 აპრილის დადგენილების თანახმად შაქრის ჭარხლის ნათესების რიგთა შორის გაფხვიერება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს უნდა დაემთავრებიათ 7 მაისამდე, გამოხშირვა 22 მაისამდე, ხოლო შემოწმება —5 ივნისამდე.

როგორც მიწსახკომის ცნობებიდან ჩანს, ეს **ვადები დარღვეულია.** რიგთა შორის გაფხვიერება არამც თუ 7 მაისს, არამედ 15 ივნისსაც კი არ იყო დამთავრებული.

ნათესების გამოხშირვა, რომელიც 22 მაისს უნდა დაემთავრებიათ, 15 ივნისს ფაქტიურად ჩატარებული იყო 4.433 ჰექტარზე, რაც მთელი ნათესების 88,5 პროც. შეადგენს. **სტალინისის რაიონში** 15 ივნისისათვის გამოხშირვა ჩატარებული იყო შაქრის ჭარხლის ნათესების 70,6 პროცენტზე; **გორის რაიონში**—85,9 პროცენტზე და **კასპის რაიონში** —86,1 პროცენტზე. ნათესების გამოხშირვა განსაკუთრებით ჩამორჩენილია ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით. (15 ივნისისათვის შესრულებული იყო გეგმის 53,9 პროც.).

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია შაქრის ჭარხლის ნათესების **პირველი შემოწმება.** ეს საქმე 5 ივნისისათვის უნდა დამთავრებულიყო. 15 ივნისს გორის რაიონს შემოწმება ჩატარებული ჰქონდა — ნათესების 45,7 პროც., კასპის რაიონს—16,1 პროცენტზე, ხოლო სტალინისის რაიონს მარტო — 5,8 პროც. **საბჭოთა მეურნეობებს შემოწმება 15 ივნისისათვის დაწყებულიც კი არ ჰქონდათ.**

გორის, სტალინისის და კასპის რაიონების ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ეს სამარცხვინო ჩამორჩენა უახლოეს დღეებში უნდა გამოასწორონ, სამუშაოდ გამოიყვანონ მთელი შრომის უნარიანი მოსახლეობა და შაქრის ჭარხლის ნათესები **დაკვირვებით** წესით და **საუკეთესოდ** დაამუშაონ.

### გარდამავალ დროშას შევინარჩუნებთ
(სტალინისის რაიონი, სოფ. ქვენატკოცის კოლმეურნეობის ბრიგადირის წერილი)

მესამე წელია, რაც სოფ. ქვენატკოცის კოლმეურნეობაში ბრიგადირად ვმუშაობ. ვხელმძღვანელობ მეორე ბრიგადას, რომელშიც გაერთიანებულია 50 ქალი და კაცი. ჩვენი უმთავრესი სამუშაო — **შაქრის ჭარხალია,** რომელსაც თვალის ჩინივით ვუვლით.

წელს შაქრის ჭარხლის თესვა 135 ჰექ., რაც გეგმით გვქონდა მოცემული, მაღალხარისხოვნად და ვადამდე 10 დღით ადრე დავამთავრეთ. თესვა ჩავატარეთ მთლიანად მზრალად ხნულზე. თესვის წინ მიწა კარგად დავამუშავეთ: ავაორეთ, დავფარცხეთ გავაფხვიერეთ, გავწმინდეთ ჭანგა ბალახისა ძირებისა და ქვებისაგან. საჭარხლე ფართობში როგორც მზრალად ხვნის, ისე თესვის დროს შევიტანეთ სასუქი.

თესვის დამთავრების შემდეგ მთელი მუშაობა გადავიტანეთ შაქრის ჭარხლის დამუშავებაზე. **რიგებს შორის პირველი გათოხნა - გაფხვიერება 7 მაისის ნაცვლად 5 მაისს დავამთავრეთ. გამოხშირვა დავიწყეთ გაფხვიერებიდან 6 დღის შემდეგ და დავამთავრეთ ვადამდე 8 დღით ადრე, პირველი შემოწმება 5 ივნისის ნაცვლად 29 მაისისათვის გვქონდა დამთავრებული.**

დაწესებული ვადების მიხედვით მეორე შემოწმება, გაფხვიერება 20 ივნისს უნდა დაგვეწყო და დაგვემთავრებია 10 დღეში. ჩვენ ამ სამუშაოს უკვე ვამთავრებთ.

შაქრის ჭარხლის ნათესები დაყოფილი გვაქვს ნაკვეთებად, **რომელზედაც მთელი წლით მიმაგრებული არიან ცალკე ჯგუფები;** ასეთივე წესით ჭარხლის 20—20 მწკრივზე მიმაგრებულია ჯგუფის თვითეული წევრი. გასულ წელს უმეტესად ჯგუფური სანარდო სისტემა გვქონდა შემოღებული, ჯგუფში ითვლებოდა 10—15 კაცი. როცა **ხარისხის ინსპექცია** შეამოწმებდა მათ ნამუშევარს, ცუდი მუშაობისათვის მთელ ჯგუფს ვაჯარიმებდით. ნამდვილი დამნაშავე კი ხშირად თავს აფარებდა კარგ მომუშავეებს. ეხლა ჩვენ ისე დავაყენეთ საქმე, რომ არა თუ ყოველდღიურად, არამედ წლის ბოლოსაც შეგვიძლია გავიგოთ — ვინ მუშაობდა კარგად და ვინ ცუდად.

წელს დიდათ გავაუმჯობესეთ შაქრის ჭარხლის **დამუშავების ხარისხი.** ბრიგადაში განმტკიცდა შრომის დისციპლინა. მთელი ამ ხნის განმავლობაში შრომის დისციპლინის დარღვევის ორი შემთხვევა იყო, მივიღეთ გადამჭრელი ზომები და მდგომარეობა გამოსწორდა.

**ქალები უკლებლივ გამოდიან სამუშაოზე. მაგალითად, მარო თურმანიძე, მარო ჩებიაშვილი** და სხვა ქალები არაფრით ჩამორჩებიან მამაკაცებს. ეხლა ჩემს ბრიგადაში **ყველა ქალი თითქმის მამაკაცების თანაბრად ასრულებს გამომუშავების ნორმებს.**

ბრიგადის შიგნით არც ერთი ჯგუფი და კოლმეურნე არ არის დარჩენილი სოცშეჯიბრების გარეშე. ჩემს ბრიგადას სოციალისტურ შეჯიბრებაში ყავს გამოწვეული **ხვთისო არბოლიშვილის** ბრიგადა. სოცშეჯიბრების ხელშეკრულებას ხშირად ვამოწმებთ.

**შემოწმებისას შაქრის ჭარხლის თესვაში ჩვენ გამარჯვებული გამოვედით; გავიმარჯვეთ აგრეთვე ნათესების დამუშავებაშიც. ყოველმხრივ ვიბრძვით რომ გასულ წელს მიღებული გარდამავალი წითელი დროშა არავის დავანებოთ.**

შაქრის ჭარხალმა ბოლქვები უკვე გაიკეთა. **მოსავალს კარგი პირი უჩანს.** ჩვენი ვარაუდით თვითეულ ჰექტარიდან ავიღებთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ არა ნაკლებ 500 ფუთ მოსავალს.

**ლევან თურმანიძე**


ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელი საამქრო

# ჩელიუსკინელები მოსკოვში

## სალამის დემონსტრაცია

მწყობრი ნაბიჯებით ჩაუვლიან მავზოლეის სამხედრო აკადემიათა მსმენელები. მათი ფართოდ გაშლილი კოლონით იწყება წითელი დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია, საბჭოთა ქვეყნის მისალმების და სიყვარულის დემონსტრაცია თავისი საუკეთესო შვილებისადმი.

აკადემიათა მსმენელებს მიჰყვებიან რუსეთის ცაკის სკოლის კურსანტები, ხოლო მათ — ფიზკულტურელები. ფორმის ხაკებს ცვლის თეთრი „მაიკები“ და ტრუსები, შავ ჩექმებს — მაგარი გარუჯული წვივები. ფიზკულტურელებს მოჰყვებიან შუცბუნდელები.

— როტ ფრონტ! — ესალმებიან ვენის ბრძოლის გმირები საბჭოთა არქტიკის გმირებს.

—როტ ფრონტ! — უპასუხებენ მათ ტრიბუნიდან ჩელიუსკინელები — თქვენი ბრძოლის ამბავი ჩვენ ვიცოდით ყინულზე! ვენიდან მოსული ცნობები აორკეცებდნენ ჩვენს ძალღონეს.

მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების საუკეთესო დამკვრელები, შმიდტის, კამანინის, კრენკელის სახელობის ბრიგადები გაივლიან თავისი საწარმოო გამარჯვებათა ციფრების პლაკატებით და გვიჩვენებენ ჩელუსკინელებისა და მფრინავებისადმი მიძღვნილი დაკვრითი შრომის შედეგებს.

მოედანი ერთი წუთით ცარიელდება. გაიარა მიტინგის ყველა მონაწილემ და როცა ოქროს ისარი სპასკის კოშკის შავ ციფერბლატზე 8 საათს მიუახლოვდება, რევოლუციის მოედნიდან მოისმის კავალერიის მძლავრი თქარათქური.

ხმალ-ამოწვდილი გაივლიან კავალერისტები. მათ მისდევს „ტაჩანკები“, შემდეგ ტანკები, დაწყებული პაწაწა ტანკეტებით და გათავებული ტანკ-გიგანტებით. ლითონის მუხლუხები ჯერ ისევ აზანზარებენ წითელი მოედნის ქვაფენილს, ხოლო ჰაერში უკვე ისმის თვითმფრინავების მწყობრი გუგუნი. ისინი მფრინავენ და გვიჩვენებენ საბჭოთა ავიაციის ძლიერებას; იმ შეურყეველ ძლიერებას; რომელიც ასე ბრწყინვალედ დაამტკიცეს ჩელუსკინელთა მხსნელმა მფრინავებმა.

თავები მაღლაა აწეული. ჩელუსკინელები ფერად-ფერადი ყვავილების თაიგულებით ესალმებიან პილოტებს. ბევრ მათგანს, ალბათ, ახლაც ახსენდება ის მომენტი, როცა მათ ბანაკზე გამოჩნდა ლაპიდევსკის თვითმფრინავი.

როცა უკანასკნელი თვითმფრინავები „ნეტარ ვასილის“ გუმბათებს მიეფარებიან, ისტორიული მუზეუმის კოშკიდან გამოფრინდება საჰაერო ბუმბერაზი, წითელი ასოებით ბუმბერაზის ფრთებზე წერია „მაქსიმ გორკი“. იგი მოფრინავს და ჰაერში გუნდგუნდად მიმოაბნევს ფურცლებს.

მოსკოვის ყველა ათი რაიონის მშრომლები ათი კოლონით მოემართებიან მოედნისაკენ, მათ თავებზე ირხევა დროშები, პლაკატები, მაკეტები, ყვავილები. განუწყვეტლივ გაისმის მისალმების ლოზუნგები, მქუხარე ვაშა.

უამრავი პორტრეტი, ღია ბარათები მუშა-ქალთა მკერდზე, ყვავილების გირლიანდებით მორთული გადიდებული ფოტოები, აკვარელის პორტრეტები, რომელთა დახატვაც უკვე მოასწრეს ქარხნების სახვითი ხელოვნების წრეებში, — მათზე გამოხატულია ჩელუსკინელთა ეპოპეის გმირთა ვაჟკაცური, ჯანსაღი სახეები. მქუხარედ და მხიარულად ესალმებიან დემონსტრანტები იმათ, ვისაც პორტრეტებით იცნობენ, იმათ, ვისი სახეებიც ძვირფასი გახდა მათთვის, შმიდტის წვერი, კამანინის წამწვეტებული წარბები — მრავალი ნიშნით ცნობილობენ დემონსტრანტები გმირებს.

უამრავი ყვავილი: თაიგულები, გვირგვინები, გირლიანდები, თვითმფრინავთა და გემთა მაკეტებიც კი ცოცხალი ყვავილებისაგან. ვარდები, გეორგინები, გიორტენზიები, მინდვრის ყვავილების კონები; ყვავილები ეცემა ტროტუარზე; ჩელუსკინელები მთლად ყვავილებში არიან. რამდენი მოსკოველი, რომელიც წინადღით, გამოსახვედრელ დღეს, ქალაქ გარეთ გავიდა, აგროვებდა ღიღილოს, გვირილას დღევანდელი დემონსტრაციისათვის.

ძალზე ბლომად არიან ბავშვები: აქ ნახავთ კარინა ვასილიევას ტოლ ბავშვებს, ვიდრე ალა ბუიკოს თანატოლებამდე. მამებს მხრებზე შეუსვამთ ისინი, დედებს ხელში უჭირავთ, ხოლო ერთ თვითმფრინავის დიდ მოდელშიც კი მოთავსებულია. ისინი მხიარულად აქნევენ იებს, თაიგულს. განუწყვეტლივ კისკისებდნენ. ეს არის ბრძოლის, საგმირო საქმეებისა და გამარჯვებათა თაობა.

ქარხანა „კაუჩუკი“ ჩაივლის მრავალი ასეული საჰაერო ბურთით. ჰაერში ავარდება საბავშვო ფერად-ფერადი პატარა და დიდი ბურთები მისალმების წარწერებით.

მრავალი ასეული მაკეტი გვეუბნება, თუ რა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მოსკოვის მუშები ისტორიული ლაშქრობის და მაშველი ექსპედიციის თვითეულ დეტალს. „კრასინი“ და „სმოლენსკი“, თვითმფრინავები, დირიჟაბლები და ნარტებიც კი — ყველაფერი ეს გამოსახულია მაკეტებში. ბევრი მაკეტი მიძღვნილია ბანაკისადმი, რომელიც დახატულია იშვიათი სიზუსტით, ნაპრალებიანი ბზარიც კი, რომელიც ყინულზე ბანაკს ქვეშ გადიოდა. ბეწვეულის ფაბრიკამ № 3 გააკეთა ბანაკის მაკეტი დიდი დათვის ქურქზე.

საღამო უკვე ჩამოწვა მოედანზე. აინთო პროჟექტორები, ხოლო კოლონები კვლავ მიდიოდნენ განუწყვეტლად. თითქოს არ ექნებოდა დასასრული ამ შესანიშნავ მსვლელობას — ჩელუსკინელების მიერ კამჩატკიდან მოსკოვამდე განვლილი მრავალათას ვერსიანი ტრიუმფალური გზის აპოთეოზს. მრავალი ასეული სადგური გაიარეს მათ, ყველგან ტრიუმფით ხვდებოდნენ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მრავალი ათასი, ათეული ათასი სადგურები, ქალაქები და კოლმეურნეობანი არ გაუვლიათ მათ თავიანთ გზაზე. და აი, პროლეტარული დედაქალაქი მიესალმა არა მარტო საკუთარი სახელით, არამედ თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა ამ ქალაქის და სოფლის სახელითაც, მთელი ხმით უცხადებდა მათ თავის სიყვარულს, მაგრად ართმევდა მათ მძლავრ ხელებს, კოცნიდა გარუჯულ სახეებში, იკრავდა თავის ფართო მკერდში. აი ამიტომ იყო დაუსრულებელი მშრომელთა კოლონები, რომლებიც ესალმებოდნენ ჩელუსკინელებს, ესალმებოდნენ ამხ. სტალინს, პარტიას და მთავრობას, რომელთა ხელმძღვანელობით ჩელუსკინელთა ეპოპეა გამარჯვებით დამთავრდა. აი, ამიტომ მრავალ ასეულ ლოზუნგში ასე მტკიცედ აცხადებენ დემონსტრანტები თავის მზადყოფნას ბრძოლისათვის, თავის მზადყოფნას გამარჯვებისადმი.

## ამხ. ვ. ვ. კუიბიშევის სიტყვა

ამხანაგებო! საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მთავრობამ დამავალეს მხურვალე ძმური სალამი გადავცე ყველა ჩელუსკინელს და მფრინავებს—საბჭოთა კავშირის გმირებს.

დღეს ღირსშესანიშნავი დღეა: ჩვენ ვხვდებით ჩელუსკინელებს, რომელთა ისტორიული ლაშქრობა და გადარჩენა შეადგენს გმირულ ეპოპეას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის მეცადინეობით, მთელი ჩვენი ქვეყნის ძალღონის დაძაბვით და მფრინავთა სიმამაცით ჩელუსკინელები გადარჩენილია.

საშინელი იყო მოსულიყო ცნობა გემის დაღუპვის და ჩელუსკინელთა მდგომარეობის შესახებ, რომ მაშინვე ამოძრავდა მთელი ჩვენი ქვეყანა. არ დარჩენილა ისეთი კუთხე, სადაც ხალხი არ ყოფილიყო დაინტერესებული ჩელუსკინელთა ბედით, სადაც არ გამოხატულიყო შიში მათი მდგომარეობის გამო, სადაც არ ცდილობდნენ დახმარების აღმოჩენას, რითაც კი შესაძლებელი იყო.

მთელი ქვეყანა მთავრობის და პარტიის, განსაკუთრებით ამხანაგ სტალინის, ხელმძღვანელობით მონაწილეობას ღებულობდა ჩელუსკინელთა გადარჩენაში.

უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ჩვენს ავიაციას, რომელმაც თავისი საუკეთესო შვილები მოგვცა ჩელუსკინელთა გადასარჩენად; ეს ეხება ჩვენს ფლოტს, რომელმაც საუკეთესო მეზღვაურები მოგვცა; ეს ეხება ლენინგრადელ მუშებს, რომლებმაც უმოკლეს ვადაში მოამზადეს ყინულმჭრელი „კრასინი“; ეს კიდევ და კიდევ ეხება ათასობით და ათი ათასობით ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ გადარჩენის ორგანიზაციაში.

რატომ ამოძრავდა ასე მთელი ქვეყანა ჩელუსკინელთა გადასარჩენად? იმიტომ, რომ იცოდენ, რომ ჩელუსკინელები გაგზავნილი იყვნენ მთავრობის დავალებით, იცოდენ, რომ ესენი თავგადასავლის მაძიებლები კი არ იყვნენ, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ იმ მუშაკთა კოლექტივი, რომლებიც ასრულებდენ მნიშვნელოვან საქმეს, რისთვისაც ისინი გაგზავნა პარტიამ ჩრდილოეთისაკენ; იმიტომ, რომ მათში ხედავდენ ჩვენი საბჭოთა კავშირის ხორცს ხორცთაგანს. აი რატომ იყო ასე დიდი მთელი ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა.

თავის მხრით ჩელუსკინელებმაც და მფრინავებმა — საბჭოთა კავშირის გმირებმა ცხადყვეს, რომ ისინი წარმოადგენენ თავისი დიდი სამშობლოს ღირსეულ შვილებს. მფრინავების — საბჭოთა კავშირის გმირების სიმამაცე—ეს არის იმ რევოლუციური განწყობილების გამოხატულება, რომლითაც ჩვენი ქვეყანა, ჩვენი პარტია და მთავრობა აწარმოებენ ბრძოლას სოციალიზმის აშენებისათვის. სიმამაცე და საქმის კეთილად დაბოლოვების ურყევი რწმენა, რაც გამეფებული იყო შმიდტის ბანაკში,—ეს არის მთელი ჩვენი საერთო საქმისა და ამ საქმისათვის ბრძოლაში შეუდრეკელობის რწმენის გამოხატულება.

ჩვენს ქვეყანას თამამად შეუძლია იამაყოს თავისი გმირებით, რომლებსაც ამაყად ეჭირათ საბჭოთა კავშირის დროშა. ჩვენს ქვეყანას თამამად შეუძლია იამაყოს თავისი მფრინავებით, რომელთა გმირობას საფუძვლად უდევს იმ პასუხისმგებლობის შეგნება, რომელიც მათ დააკისრა სამშობლომ ჩელუსკინელთა გადარჩენისთვის.

და აი, ჩელუსკინელები გადარჩენილი არიან და ამჟამად ჩვენ თქვენს გვერდით ვდგევართ, ამხანაგებო, და მაგრად გართმევთ ხელს.

ჩელუსკინელთა გადარჩენამ დაგვანახვა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველ მომენტში აღსდგება თავის დასაცავად, როცა კი ეს საჭირო იქნება და რომ მას შეუძლია ბევრი და ბევრი გმირის მოცემა. ჩელუსკინელთა გადარჩენამ დაგვანახვა, თუ რამდენად შეგვიძლია ჩვენ ვიქონიოთ ჩვენი საკუთარი ძალების იმედი, საკუთარი გაზრდილი მშობლიური ტექნიკის იმედი, თუ რამდენად წარმატებით ვეუფლებით ჩვენ ამ ტექნიკას.

ჩელუსკინელთა ეპოპეა დამთავრდა!

წინ, ახალი წარმატებებისაკენ არქტიკის დაუფლების საქმეში!

გაუმარჯოს საბჭოთა არქტიკას!

გაუმარჯოს ჩვენს სიამაყეს — საბჭოთა ავიაციას!

გაუმარჯოს ჩელუსკინელებს და საბჭოთა კავშირის გმირებს!

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, რომელმაც ასეთი ხალხი აღზარდა!

გაუმარჯოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს — ამხ. სტალინს, რომლის ხელმძღვანელობით ჩვენ ვიმარჯვებთ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე (ადს).

# საბჭოთა ავიამშენებლობის ახალი დიდი გამარჯვება

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი — ამხანაგ სტალინს და კაგანოვიჩს.
ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს — ამხ. მოლოტოვს.
სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი — ამხ. ვოროშილოვს.
მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი — ამხ. ორჯონიკიძეს.
ამხ. მ. გორკის.
„პრავდის“ რედაქციას.

ბოლშევიკური პრესის, საბჭოთა მეცნიერების, სოციალისტური მრეწველობის საერთო ძალღონით დამთავრდა მსოფლიოში უდიდესი სახმელეთო თვითმფრინავის — „მაქსიმ გორკის“ აგება და ჩატარდა მისი მთელი რიგი საცდელი გაფრენები.

თვითმფრინავის ფრთების განი უდრის 63 მეტრს; საფრენოსნო წონა — 42 ტონაა; იგი მომარაგებულია საბჭოთა კონსტრუქციის 8 მოტორით, რომელთა საერთო სიმძლავრე აღწევს 7.000 ცხენის ძალამდე.

თვითმფრინავს მოეპოვება ელექტრო-რადიო-კინო-ფოტო და პოლიგრაფიული მოწყობილობა კულტურულ-საგანმანათლებლო და სააგიტაციო მუშაობის საწარმოებლად.

თვითმფრინავი „მაქსიმ გორკი“ კონსტრუირებული და აგებულია ცენტრალური აერო-ჰიდროდინამიკური ინსტიტუტის მიერ მთლიანად საბჭოთა მასალიდან პარტიულ-საბჭ. პრესის მკითხველთა მიერ ნებაყოფლობით შეგროვილი სახსრებით. თვითმფრინავის მოწყობილობის დამზადებაში მონაწილეობას ღებულობდა ს. ს. რ. კ-ის 35 საუკეთესო ქარხანა.

ძლევამოსილმა პროლეტარიატმა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევენ პარტია და მთავრობა, რომელიც დაუშრეტელ ენერგიას იჩენს თავის სამშენებლო შემოქმედებაში, ხორცი შეასხა თავისი დიდი პროლეტარული მწერლის რევოლუციურ ლეგენდას. მძლავრი „გოლიათი“ თავს დასტრიალებს სოციალისტური შრომის ქვეყანას და მის მკერდზე აწერია მაქსიმ გორკის სახელი.

მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე მიხ. კოლცოვი
ცენტრალური ჰიდრო-დინამიკური ინსტიტუტის უფროსი ნ. ხარლამოვი
მთავარი კონსტრუქტორი ა. ტუპოლევი
სამშენებლო განყოფილების უფროსი ა. გორიანოვი

## ტელმანის პროცესი დაიწყება ივლისის დამდეგს

**პარიზი**, 19 ივნისი. „ლუმანიტეს“ ცნობით, ტელმანის პროცესი, როგორც ჩანს, დაიწყება ივლისის დამდეგს. (ადს).

## საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია შესდგება 23—25 ივნისს

**პარიზი**, 19 ივნისი. „ლუმანიტეს“ ცნობით, საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია შესდგება 23—25 ივნისს (ადს).

## მუშების სისხლისმღვრელი შეტაკებანი ფაშისტებთან და პოლიციასთან საფრანგეთში

**პარიზი**, 19 ივნისი. ტულუზში უნდა შემდგარიყო ფაშისტური ორგანიზაციის „ჟენეს პატრიოტის“ ბანკეტი რეაქციონერ დეპუტატების ტეტენჟეს და სკაპინის მონაწილეობით. შეკრებილი 250 ფაშისტის დასაცავად ხელისუფლებამ გამოიყვანა 900 ჟანდარმი. მიუხედავად ამისა, კომპარტიის მოწოდებით შეკრებილმა მუშებმა მოაწყეს ანტიფაშისტური დემონსტრაცია, რომელიც წითელი დროშებით, „ინტერნაციონალის“ სიმღერით და ლოზუნგებით „გაუმარჯოს საბჭოებს მთელს მსოფლიოში“, „დააპატიმრეთ ტეტენჟე“ — გაემართა ფაშისტების კრების ადგილისაკენ. ბევრ ადგილას მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და ჟანდარმებს შორის. ხელისუფალნი იძულებული იყვნენ გამოეწვიათ პოლიციელთა დამატებითი რაზმები, მათ შორის კარაბინებით შეიარაღებული 300 ჟანდარმი და ცხენოსანი პოლიცია. მუშებმა აღმართეს ბარიკადები, და უშვეს ჟანდარმებს ქვების სროლა, გადააბრუნეს რამდენიმე ავტომობილი, ხოლო შემდეგ ალყა შემოარტყეს პოლიციის პრეფექტურას. შეტაკებები გაგრძელდა ნაშუაღამევამდე. უკანასკნელი ცნობებით, ორივე მხრიდან დაჭრილია 50-მდე კაცი. დააპატიმრეს 100 დემონსტრანტი.

სერიოზული შეტაკებები პოლიციასთან მოხდა ჰავრში, სადაც გაიმართა ანტიფაშისტური დემონსტრაცია ლოზუნგებით: „გაუმარჯოს საბჭოებს მთელს მსოფლიოში“, „გაათავისუფლეთ ტელმანი“. პოლიციელების მიერ დაპატიმრებული რამდენიმე მუშა დემონსტრანტებმა აქვე გაათავისუფლეს. (ადს).

## უშიშროების კომიტეტის სხდომა

**პარიზი**, 19 ივნისი. როგორც ჟენევიდან იტყობინებიან, გუშინ შესდგა უშიშროების კომიტეტის სხდომა. სხდომაზე წარმოდგენილი იყო ევროპის ყველა ქვეყანა. იტალიის და უნგრეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მეთვალყურეების როლით დაკმაყოფილდებიან. პოლიტისი (უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე) გამოვიდა მოხსენებით იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ჟენევაში უშიშროების დარგში. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადების მეოხებით თავდამსხმელი მხარის განსაზღვრის შესახებ, ლონდონის კონფერენციის დადებით აგრესორის განსაზღვრის შესახებ და ბალკანეთის პაქტის დადებით დიდი ნაბიჯია გადადგმული წინ უშიშროების დარგში. (ადს).

## დაწვრილებითი ცნობები

### ინგლისის გემზე ჩინელი მეკობრეთა თავდასხმის შესახებ

**ლონდონი**, 19 ივნისი. პრესის ცნობით, გუშინ ჩინელი მეკობრენი თავს დაესხნენ ინგლისის გემს „შუნტიანს“, რომელიც დასუდან (ტიანძინის მახლობლად) მიდიოდა ჩიფუში. მეკობრეები იმყოფებოდნენ გემზე მგზავრების სახით და მოახდინეს თავდასხმა, როცა გემი ყვითელი მდინარის შესართავთან იყო. შეტაკების შემდეგ მეკობრეები 24 საათის განმავლობაში გემის სრული ბატონ - პატრონი იყვნენ. შემდეგ მათ ჩაუშვეს ნავი და გადავიდნენ ნაპირზე; თან წაიყვანეს გემის კომანდის 2 ოფიცერი, ორი ინგლისელი საზღვაო ოფიცერი, რომელნიც მიდიოდენ გემით, ერთი ინგლისელი მგზავრი, ერთი იაპონელი მგზავრი და 30 ჩინელი მგზავრი. ვეიხავეიდან პირატებს დაადევნეს ინგლისის ორი ნაღმოსანი. შესაძლოა აგრეთვე, რომ მეკობრეების ძებნაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე თვითმფრინავები ავიამზიდიდან „იგლიდან“.

ინგლისის ელჩმა გაუგზავნა მიმართვა ნანკინის მთავრობას და შანდუნის პროვინციის გუბერნატორს. ინგლისის სამხედრო ატაშემ შანდუნის გუბერნატორთან გაგზავნა ოფიცერი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მეკობრეების ძებნაში. ყვითელ მდინარეს მიადგა აგრეთვე იაპონიის კრეისერი „ტეპრიუ“ (ადს).

### ამერიკის სამხედრო გემები წავიდნენ ჩინელი მეკობრების საძებნელად, რომლებმაც ტყვედ ჩაიგდეს 6 ინგლისელი

**ნიუ-იორკი**, 19 ივნისი. როგორც „ასოშიეიტედ პრესი“ იუწყება შანხაიდან, ამერიკის ორი სამხედრო გემი წავიდა იმ ჩინელ მეკობრეთა გემების საძებნელად, რომლებმაც, როგორც იტყობინებოდნენ, ყვითელი მდინარის შესართავთან ტყვედ წაიყვანეს 6 ინგლისელი სავაჭრო გემიდან. (ადს).

## თვითმფრინავის დაღუპვა

**პარიზი**, 19 ივნისი. ორსეიში (პარიზის მახლობლად) საცდელი გაფრენის დროს, თვითმფრინავს უეცრად ცეცხლი გაუჩნდა და ჩამოვარდა. დაიღუპნენ მფრინავი სალელი, რომელიც თავის დროზე პარიზიდან გადაფრინდა მადაგასკარში, და მექანიკოსი. (ადს).

## გერინგის აღიარება

**ბერლინი**, 19 ივნისი. პრუსიის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გამოვიდა გერინგი, რომელიც შეჩერდა სახელმწიფო რეფორმის საკითხზე. ამ რეფორმამ მთლიანად უნდა მოსპოს გერმანიის ახლანდელი, ფორმალურად ჯერ კიდევ დამოუკიდებელი პროვინციები, მათ შორის პრუსიაც. მაგრამ ეს, გერინგის სიტყვით, უნდა მოასწავებდეს „პრუსიული სულის ბატონობის დამყარებას მთელ გერმანიაში. გერინგმა აღიარა, რომ „აქა-იქ თავს იჩენს ხოლმე უკმაყოფილება“ მთავრობის ღონისძიებათა გამო, მაგრამ იგი შეეცადა შეესუსტებია ამ აღიარებით გამოწვეული შთაბეჭდილება და განაცხადა, რომ ეს მხოლოდ „ერთეული შემთხვევებია“. მაინც გერინგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საჭიროა, რადაც არ უნდა დაჯდეს, ნდობა მთავრობისადმი“, თორემ „ყველაფერი დაინგრევა“. ამასთან გერინგმა აღიარა, რომ კომუნისტური საფრთხე „ჯერ კიდევ არ გამქრალა“.

შეჩერდა რა მოკლედ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, გერინგმა განსაკუთრებით აღნიშნა შერიგება პოლონეთთან და ჰიტლერის შეხვედრა მუსოლინისთან, როგორც „საძნელეთა გადალახვის წინაპირობები (ადს).

## რღვევა გერმანიის ფაშიზმის ბანაკში
### პაპენი გერმანიის კონტრრევოლუციას შეღაღადებს

**ბერლინი**, 19 ივნისი. ვიცე-კანცლერ პაპენის მიერ მარბურგში წარმოთქმულ სიტყვას აფასებენ, როგორც მთავრობის შიგნით არსებულ უღრმეს წინააღმდეგობათა მკვეთრ გამოხატულებას და როგორც გერმანიის შინაპოლიტიკური მდგომარეობის სერიოზული გართულების აღიარებას. პაპენის სიტყვას რომ დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ, ამას განსაკუთრებით მოწმობს ის ფაქტი, რომ გერმანიის საინფორმაციო ბიურომ ჯერ გაავრცელა ამ სიტყვის შემოკლებული შინაარსი, მაგრამ შემდეგ ამ ფორმითაც კი გაზეთებს აეკრძალა მისი დაბეჭდვა. ზოგიერთი გაზეთის საღამოს გამოცემას, რომლებშიც ეს სიტყვა მოკლედ იყო გადმოცემული, კონფისკაცია უყვეს.

პაპენმა თავის სიტყვაში ფრიად ზოგადი ფორმით დასვა გერმანიის შემდგომი შინა პოლიტიკური განვითარების საკითხი და პირდაპირ აღიარა, რომ ფართო მასების ნამდვილი სულისკვეთება „წყვდიადითაა მოცული“ და რომ ახლანდელი პრესა არ გამოხატავს ამ სულისკვეთებას.

შემდეგ პაპენმა თქვა:

„გერმანიის ხალხმა იცის, რომ მისი მდგომარეობა სერიოზულია. იგი ეკონომიურ გაჭირვებას განიცდის, იგი ჩინებულად ხედავს ზოგიერთი ახალი კანონის ნაკლოვანებებს, იგი მწვავედ გრძნობს ძალადობას და უსამართლობას, იგი ირონიულად იღიმება იმ უხეირო ცდებზე, რომლის მიზანიც არის მისი შეცდომაში შეყვანა სინამდვილის დაუსაბუთებელი შეფერადების გზით. ვერავითარი ორგანიზაცია და საუკეთესო პროპაგანდაც კი ვერ შესძლებს ხანგრძლივად შეუნარჩუნოს მთავრობას ნდობა“.

აღიარა რა, ამრიგად, უნდობლობის ძლიერი ზრდა მთავრობისადმი მოსახლეობის ფართო მასებში, პაპენმა ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ **მას** აუცილებლად მიაჩნია აშკარად განაცხადოს ეს, ვინაიდან ამ განწყობილებას ფრიად სახიფათო შედეგები შეიძლება მოჰყვეს. უდიდესი საფრთხე, პაპენის სიტყვით, არის ის, რომ „არასოდეს არ წყდება ლაპარაკი ნაციონალური რევოლუციის მეორე ტალღის შესახებ.

შემდეგ პაპენი გამოდის საგულისხმო აღიარებით, რომ გაჩნდა უფსკრული პერმანენტულ ნაციონალ - სოციალიზმის იდეასა და პრაქტიკას შორის. ამასთან პაპენი მოითხოვს ყოველგვარ სოციალურ დემაგოგიაზე გარკვევით და აშკარად უარისთქმას. „ისტორიული ლოღიკა მოითხოვს, რომ 1889 წლის ლიბერალური საერო სახელმწიფო შეიცვალოს გერმანიის კონტრრევოლუციის სახელმწიფოდ, რომელიც რელიგიაზე იქნება დაფუძნებული“,—ასე აყალიბებს პაპენი გერმანიის ბურჟუაზიის იმ გავლენიანი წრეების პრინციპულ მოთხოვნებს, რომლებიც მას ზურგს უმაგრებენ.

ამასთან დაკავშირებით პაპენი განსაკუთრებით ილაშქრებს იმ ხაზის წინააღმდეგ, რომელსაც ატარებენ ნაციონალ - სოციალისტთა ძირეული ორგანიზაციები სამღვდელოების მიმართ, როცა აცხადებს, რომ ეს აძლიერებს გერმანიის საერთაშორისო იზოლაციას და ამით ხელს უშლის მის ექსპანსიას ევროპის ტერიტორიებზე (ადს).

### გერმანიის მთავრობის წრეები შეშფოთებული არიან

**ლონდონი**, 19 ივნისი. „ტაიმსის“ ბერლინელი კორესპონდენტი წერს, რომ პაპენის მიერ მარბურგში წარმოთქმულმა სიტყვამ ერთი აურზაური გამოიწვია გერმანიის მთავრობის წრეებში. „ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომის პირველი დღეებიდან,—წერს გაზეთი,—ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა მთავრობის წევრთა ასეთი გულახდილი საჯარო გამოსვლები“. (ადს).

## მუსოლინი ცდილობს შეანელოს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დაძაბულობა

**ტოკიო**, 17 ივნისი. „ნიცი-ნიცის“ პარიზელი კორესპონდენტი წერს: ფიქრობენ, რომ **მუსოლინიმ** ვენეციაში **ჰიტლერთან** შეხვედრის დროს ურჩია მას მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.

**პარიზი**, 16 ივნისი. „ტანის“ რომაელი სპეციალური კორესპონდენტი, ეხება რა გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, წერს: „მუსოლინის ყოველთვის სურდა კარგი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და არასოდეს არ მალავდა, რომ მისი აზრით, გერმანია მოსკოვის მიმართ ატარებს დაუსაბუთებელ პოლიტიკას“.

„რომში ფიქრობენ, — განაგრძობს გაზეთი, — რომ ბერლინი დიდ შეცდომას ჩადის. საბჭოთა კავშირის მიმართ პოლიტიკის შეცვლით გერმანია გააადვილებდა ევროპის დამშვიდებას“. მიუხედავად იმისა, რომ იტალია, თითქოს, დაინტერესებულია გერმანიის ექსპანსიის აღმოსავლეთისაკენ მიმართვაში, წერს გაზეთი, რომში, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესება დიდ გავლენას მოახდენდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე. „ყოველ შემთხვევაში, — წერს „ტანი“, — მუსოლინი ცდილობს შეანელოს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დაძაბულობა“.

„ევრი“, ეხება რა ამავე ცნობებს, წერს: „ჩვენ შევამოწმეთ ეს ცნობები ჩვენს რუს მეგობრებთან და შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ ასეთი აზრი: თუ გერმანიას ნამდვილად სურს საბჭოთა კავშირთან დაახლოვება, მან უნდა მიიღოს აღმოსავლეთის ლოკარნო, წამოყენებული ლიტვინოვის მიერ“. (ადს).

## დარბაზობა ამხ. ელიავას პატივსაცემად
### საბჭ. კავშირის თეირანის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში.

**თეირანი**, 18 ივნისი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ელიავა გაემგზავრა მოსკოვში. გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მის პატივსაცემად გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ პრემიერ ფორუგი, იუსტიციის მინისტრი — სარდი, შინაგან საქმეთა მინისტრი — ჯამი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ხეზილი და მთავრობის სხვა წევრები. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეოსტატი ძირითადი ფიგურა საამქროში

## ქვეოსტატი ჯერ არ გამხდარა საწარმოო პროცესის ნამდვილ ორგანიზატორად

(ქუთაისი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა არ არის უზრუნველყოფილი ოსტატებით და ქვეოსტატებით. სულ ფაბრიკაში მუშაობს 9 ოსტატი და 12 ქვეოსტატი. არის საამქროები, სადაც ქვეოსტატები სულ არ არიან.

უკანასკნელ დრომდე (მიმდინარე წლის მეორე კვარტალამდე) ფაბრიკის ძირითად საამქროში—საქსოვ საამქროში ასეთი მდგომარეობა იყო. საამქროში მუშაობს ოთხი ბრიგადა, ყველა მათ ჰყავდა ბრიგადირები საუკეთესო დამკვრელ მუშებიდან. ამავე დროს საამქროში არიან ქვეოსტატები, რომლებიც „წარმოების უშუალო ორგანიზატორები“ უნდა იყონ. ქვეოსტატი პასუხისმგებელია კომპლექტის მთელი მუშაობისათვის, ამასთან ერთად თავის ბრიგადაში პასუხისმგებელია ბრიგადირიც. ამან შექმნა ერთგვარი პარალელიზმი, ბრიგადირის გაუპიროვნება, ამასთანავე ბრიგადირებიც ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე. აქედან ის დასკვნა გააკეთეს, რომ ბრიგადირებად გამოყვეს თვით ქვეოსტატები.

ამას მოყვა ქვეოსტატის უფლებათა გაფართოება. ოფიციალურად მისი როლი ასეა განსაზღვრული: ქვეოსტატი მთელი კომპლექტის მუშაობის ხელმძღვანელია, პასუხისმგებელია საკონტროლო ციფრების შესრულებისათვის. ის ადმინისტრატიული პირია საამქროში და პასუხს აგებს თავის კომპლექტის მუშაობისათვის ოსტატისა და საამქროს გამგის წინაშე.

ქვეოსტატს ევალება თავის დროზე ჩაატაროს დაზგების მიმდინარე რემონტი (უფრო სერიოზული რემონტისათვის საამქროს ჰყავს სპეციალური ბრიგადა მონტაჟის ოსტატის ხელმძღვანელობით), ხელმძღვანელობა გაუწიოს მქსოველებს მუშაობის დროს, თვალყური ადევნოს დაზგების სწორ მსვლელობას, მათ დროზე გაწმენდას და გაზეთვას. მასვე ევალება შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვა თავის კომპლექტში.

ასეთი უფლებები აქვთ ქვეოსტატებს. ამართლებენ თუ არა ისინი ამ უფლებებს? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა. თავდაპირველად აქ აღსანიშნავია ოსტატების და ქვეოსტატების დაბალი ტექნიკური დონე. დასრულებული საშუალო ტექნიკური განათლება არც ერთ მათგანს არ აქვს. 9 ოსტატიდან მხოლოდ ექვს აქვს გავლილი კურსები მოსკოვში, ქვეოსტატებიდან მხოლოდ ოთხია დაბალი ტექნიკური განათლებით. ფაბრიკის ყველა ოსტატი და ქვეოსტატი წინად მუშებად იყვნენ ამავე ფაბრიკაში.

მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმე არ არის მოგვარებული. საქსოვ საამქროში ოთხი ქვეოსტატი მუშაობს და მათ შორის მხოლოდ ერთი თუ აკმაყოფილებს ასე თუ ისე ქვეოსტატის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ქვეოსტატი უნდა გახდეს საწარმოო პროცესის ნამდვილ ორგანიზატორად. ამისათვის საჭიროა შეუქმნათ მას სათანადო პირობები.

პირველ რიგში უნდა ავამაღლოთ ქვეოსტატის კვალიფიკაცია, შევქმნათ მტკიცე ბაზა ქვეოსტატების კადრის მოსამზადებლად. უნდა ავიღოთ კურსი ქვეოსტატ-ტექნიკოსის მომზადებაზე. ახლანდელი ქვეოსტატები უნდა გადავამზადოთ ისე, რომ მათ ჩააბარონ გამოცდა ტექნიკოსის ხარისხზე. მხოლოდ მაშინ გახდება ქვეოსტატი კომპლექტის ნამდვილი ბრიგადირი.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში ქვეოსტატების გადასამზადებლად არაფერი კეთდება. ქვეოსტატების კადრის მომზადება ისევ ძველი გზით მიდის: ქვეოსტატებად აწინაურებენ ადგილობრივ მუშებს. სრულიად არ არიან გამოყენებული მქსოველი ქალები. ფაბრიკის ხელმძღვანელ მუშაკებში გამეფებულია ისეთი შეხედულება, რომ „ჩვენი ქალები ვერ შესძლებენ ქვეოსტატად მუშაობას“. რატომ, საიდან ჩანს ეს? ერთხელ მაინც სცადეთ მქსოველი ქალის ქვეოსტატად გადაყვანა, შეუქმენით მას პირობები, რომ დარჩენილიყო ამ სამუშაოზე? ასეთი ცდა ფაბრიკაში არ მომხდარა.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკას ამჟამად აკლია ათამდე ქვეოსტატი. მათ მომზადებას აპირებენ შეგირდებიდან. საჭიროა ცდის სახით რამდენიმე ქალიც იქნეს მიმაგრებული ოსტატებსა და ქვეოსტატებზე, იქნებ მათი რიცხვიდან დაწინაურდენ ისეთები, რომლებიც შემდეგ შესძლებენ ქვეოსტატად მუშაობას.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქვეოსტატების კვალიფიკაცია ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში დაბალია. ეს არის მიზეზი, რომ წუნი თანდათან იზრდება. პირველ კვარტალში წუნი შეადგენდა მთელი გამოშვებული პროდუქციის 5,7 პროცენტს, აპრილში—8,6 პროც., ხოლო მაისში—12 პროცენტს.

ქვეოსტატ-ბრიგადირს უნდა შევუქმნათ ყოველგვარი პირობა, რომ აიმაღლოს თავისი კვალიფიკაცია და სხვასაც ასწავლოს თავის ბრიგადაში, გააუმჯობესოს საწარმოო ინსტრუქტაჟი. ამისათვის საჭიროა დაინტერესება, შრომის სოციალისტური ფორმების გაშლა. მაგრამ რა დაინტერესებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც საქსოვ საამქროს ბრიგადებმა პირველ კვარტალში სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შედეგად 16.000 მანეთის ეკონომია მისცეს წარმოებას, ხოლო აქედან კუთვნილი პრემია—1.500 მანეთი ჯერაც არ მიუღიათ.

წუნი ქუთაისის ფაბრიკაში თვიდან თვემდე იზრდება. „ძალაუფლება საამქროში და ტექნიკური ხელმძღვანელობა, — აი რა გვჭირია ჩვენ. მოგვეცით ის და წუნი შემცირდება“ სთქვა ამხ. **კაგანოვიჩმა.**

ამ მითითების რეალიზაციას ქუთაისის მაუდის ფაბრიკა ჯერაც არ შესდგომია: ტექნიკური ხელმძღვანელობის განხორციელება შეუძლია მხოლოდ ქვეოსტატ-ოსტატს სათანადო მომზადების პირობებში.

**შ. ბუაჩიძე.**

## ჩვენი ცოდნის ამაღლებაზე არავინ ზრუნავს

(ტფილისის აბრეშუმის ფაბრიკის ქვეოსტატების წერილი)

ჩვენს ფაბრიკაში ქვეოსტატებს ყურადღება არ გვექცევა. ამაზე ლაპარაკობს თუნდაც ის ფაქტი, რომ სამკუთხედმა დღემდე ვერ განსაზღვრა, ქვეოსტატის უფლება-მოვალეობანი. ქვეოსტატი არ წარმოადგენს კომპლექტის უფლება-მოსილ ხელმძღვანელს. ჩვენი მუშაობა მარტო იმით ამოიწურება, რომ შევაკეთებთ დაზიანებულ მანქანებს და დაზგებს. კომპლექტიდან მუშების გადაყვანა-გადმოყვანას საამქროს გამგე ისე აწარმოებს, რომ ქვეოსტატმა ამის შესახებ არაფერი იცის. მეორე კომპლექტის მუშები **პ. ხომასურიძე და მ. ელიაშვილი** აპრილის 15-დან საამქროს გამგემ შვებულებაში გაუშვა, ქვეოსტატმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

მერე რა მოჰყვა ამას? დაზგა № 51 და № 52, რომლებზედაც ხომასურიძე მუშაობდა, მის დაბრუნებამდე უქმად იდგა.

ამხ. დ. შერმადინი

(ტფილსის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის ქვეოსტატი)

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გულგრილობა, რომელსაც ჩვენი ფაბრიკის ხელმძღვანელები იჩენენ სამეურნეო ანგარიშზე კომპლექტების გადაყვანის საქმისადმი. კომპლექტები, ხელმძღვანელების თქმით სამეურნეო ანგარიშზეა, მაგრამ სინამდვილეში სასტიკად მახინჯდება სამეურნეო ანგარიშის პრინციპი. კომპლექტი თუ გადაყვანილი იქნება სამეურნეო ანგარიშზე, მაშინ ცალ-ცალკე უნდა წარმოებდეს აღრიცხვა ელექტრო ენერგიის, ნედლეულის და სხვა მასალათა ხარჯვის. მაგრამ ეს არ ხდება. ქვეოსტატმა მთელი დღეების განმავლობაში უნდა იაროს სტატისტიკურ განყოფილებაში, რომ გაიგოს თუ როგორ მუშაობდა მისი კომპლექტი გასულ თვეს.

ქვეოსტატების განათლება დაბალია. ესეც აბრკოლებს ჩვენს აქტიობას. მონდომებული ვართ რაც შეიძლება მეტი ვისწავლოთ, მაგრამ ფაბრიკის ხელმძღვანელები როდი იწუხებენ თავს იმისათვის, რომ წარმოებიდან მოუწყვეტლად შეგვეძლოს ცოდნის მიღება. მათ დღემდე ვერ მოახერხეს ფაბრიკასთან არსებულ მუშათა განათლების კომბინატში ქვეოსტატების სწავლის ორგანიზაცია. მარტო ქვეოსტატების მოსამზადებელი ექვს თვიანი კურსები საკმაო არაა, აქ ჩვენ მაინც და მაინც ახალს არაფერს გავდივართ.

საყურადღებოა ფაბრიკასთან არსებულ საქარხნო - საფაბრიკო სკოლა დამთავრებულთა ბედი. 1931 წლიდან ამ სკოლამ 209 კვალიფიციური მუშა გადასცა ფაბრიკას. ახალგაზრდა ამხანაგებს, ბუნებრივია, სანამ წარმოებას გაეცნობოდენ, სათანადო ინსტრუქტაჟი და ხელმძღვანელობა ესაჭიროებათ. აქ-კი ამას ყველა გვერდს უვლიდა. საქარხნო - საფაბრიკო სკოლა დამთავრებულთ პირველად სამუშაოდ გაგზავნიდენ მესამე „ა“ კომპლექტში. ეს კომპლექტი კი მთელ ფაბრიკაში ცნობილია ძველი დაზგებით. მოხვდებოდენ რა ასეთ დაზგებთან, ახალგაზრდები ვერ უძლებდენ მუშაობას. დაბალი იყო მათი გამომუშავება, ცუდი იყო ხარისხიც. ამის გამო ტოვებდენ წარმოებას და მათგან დღეს ფაბრიკაში მხოლოდ 69 კაცი მუშაობს. ფაბრიკის სამკუთხედი იმათ შენარჩუნებასაც არ ცდილობს, ვისაც მონდომებულია დარჩეს წარმოებაში. მაგალითად მე-9 კომპლექტის ქვეოსტატი **ვ. ტაბიძე** საქარხნო-საფაბრიკო სკოლის დამთავრებიდან აქ მუშაობს. მას წარმოებაში მუშაობის სავალდებულო ვადა (2 წელი) უსრულდება. ის ცდილობს არ მოშორდეს ფაბრიკას და ისე განაგრძოს სწავლა, მაგრამ აქ ხელოვნურად უქმნიან ისეთ პირობებს, რომ იძულებულია დასტოვოს წარმოება. ის ამჟამად უმაღლესი სასწავლებლისათვის მოსამზადებელ კურსებზე დადის. საქსოვ საამქროს გამგე ამხ. **მამუჩეიშვილმა** ვერ „მოახერხა“, რომ ის დილის ცვლაზე გადაეყვანა.

ამხ. მ. კოკოევი

(ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის ქვეოსტატი)

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ფაბრიკაში ქვეოსტატად მხოლოდ ერთი ქალი მუშაობს (ო. ჩილკინა მესამე „ა“ კომპლექტში).

ეს იმით აიხსნება, რომ აქაც საკმაოდ გავრცელებულია ყალბი შეხედულება, თითქოს ქალს არ შეეძლოს ქვეოსტატის მოვალეობის შესრულება. ასეთ აზრს არაფერი საერთო არა აქვს სინამდვილესთან. ქალები აქ მამაკაცებზე უარესად არ იმუშავებენ.

## იუსტიციის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირისათვის

დღეს გაიხსნება საქართველოს იუსტიციის მუშაკთა რესპუბლიკანური თათბირი. თათბირი მოისმენს მოხსენებას იმ გამოკვლევის შედეგების შესახებ, რომელიც ჩაატარა ს.ს.რ.კ. პროკურატურის სპეციალურმა ბრიგადამ და დასახავს ღონისძიებებს იმ ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, რაც პროკურატურის და სასამართლოს ორგანოებს ეკისრებათ ჩვენი სოციალისტური განვითარების ეხლანდელ ეტაპზე.

სოციალისტური კანონიერების საფუძვლიანად განმტკიცების საქმე, ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მისი გენიალური ბელადების ამხ. **ლენინის** და **სტალინის** მუდმივ საზრუნავ საგანს შეადგენდა. ამხ. **ლენინი** მოითხოვდა საბჭოთა კანონების განუხრელად დაცვას. ის სწერდა „სულ უმცირესი უკანონობა, სულ უმცირესი დარღვევა საბჭოთა წესრიგისა არის უკვე ხვრელი, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები“. ამხ. **სტალინი** თავის მოხსენებაში ლენინგრადის პარტორგანიზაციის კრებაზე 1926 წელს, ამახვილებდა რა პარტორგანიზაციის ყურადღებას რევკანონიერების განმტკიცების საქმეზე, მისთვის ჩვეული პირდაპირობით და ულმობელი ბოლშევიკური კრიტიკით ამჟღავნებდა იმ კომუნისტების უსუსურობას და უპრინციპობას, რომელთაც „არაფრად არ უღირსთ გადააბიჯონ კანონს, გვერდი აუარონ მას, დაარღვიონ ის“, რომლებიც „კანონებს, სახელმწიფოს და სხვა, სთვლიან შინაურ საქმეთ“.

1927 წელს მე-15 პარტყრილობაზე ამხ. **სტალინი** კვლავ მოგვიწოდებს რევკანონიერების კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ და მიგვითითებს, რომ „რევოლუციონური კანონიერება არ არის უშინაარსო ფრაზა“, რომ კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა ყველა ჩვენთაგანის აუცილებელი მოვალეობაა.

პარტიისა და ხელისუფლების ის დავალებანი და მისი ბელადების — ამხ. **ლენინისა** და **სტალინის** ის მითითებანი, რაც რევკანონიერების დაცვა-განმტკიცების საქმეს შეეხება, სავალდებულოა მთელი პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის. პირველ რიგში კი ბრძოლა რევკანონიერების დაცვა-განმტკიცებისათვის ეკისრება პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს.

მე-17 პარტყრილობის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვს პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების მაქსიმალურ გაძლიერებას, მათ რიცხვში პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების კიდევ უფრო განმტკიცებას. ვინაიდან, როგორც ერთხელ კიდევ მიგვითითა ამხ. **სტალინმა** მე-17 პარტყრილობაზე თავის ისტორიულ საანგარიშო მოხსენებაში, „უკლასო საზოგადოება არ შეიძლება მოვიდეს ასე ვთქვათ თვითდინების წესით“, რომ „ის (უკლასო საზოგადოება დ. ხ.) უნდა მოვიპოვოთ და ავაშენოთ ყველა მშრომელთა ძალღონით, პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების გაძლიერების გზით“.

როგორია ის ამოცანები, რომელსაც აკისრებს პარტიის ისტორიული მე-17 პარტყრილობა იუსტიციის ორგანოებს?

ძირითადი ამოცანა იუსტიციის ორგანოებისა რევკანონიერების კიდევ უფრო განმტკიცების საქმეში არის ბრძოლა საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების დაცვა-განმტკიცებისათვის 1932 წლის 7 აგვისტოს კანონის საფუძველზე. სოციალისტური საკუთრება — ჩვენი ეკონომიკის და სოციალისტურ წყობილების მთავარი საფუძველია. ამიტომ სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლა, რევოლუციური კანონიერების უმთავრესი ამოცანაა ეხლანდელ ეტაპზე.

მეორე ძირითადი ამოცანა იუსტიციის ორგანოებისა არის პროდუქციის ხარისხიანობისთვის ბრძოლა 1933 წლის 8 დეკემბრის კანონის საფუძველზე; ეს კანონი ავალდებულებს იუსტიციის ორგანოებს განუხრელად აძლიონ პასუხისგებაში ყველა დამნაშავენი მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში. ეს კანონი ითვალისწინებს როგორც მინიმალურ რეპრესიას—თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ 5 წლისა.

შემდეგი ამოცანა—ეს არის ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ეს ნიშნავს იუსტიციის ორგანოების მუშაობის პირობებში ბრძოლის გაძლიერებას ყოველგვარ სამეურნეო და სხვა ხასიათის უყაირათობასთან, დაუდევრობასთან, სიზარმაცესთან, გაცდენებთან, მუშაობის თვითდინების წესთან, უვარგისობასთან და სხვა. ამხ. **სტალინი** მიგვითითებს, რომ „მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების სისტემატიურ ზრდას, თვითღირებულების შემცირებას და სამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვას“. ამ ამოცანის შესრულება შრომის დისციპლინის განმტკიცების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია და მაშასადამე გამომჟღავნება შრომის დისციპლინის ყველა სახეობის დამრღვევთა და მათთვის მომქმედი კანონების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრება ჩვენი იუსტიციის ორგანოების მნიშვნელოვანი ამოცანაა.

შემდეგი მთავარი ამოცანა—ეს არის ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან, მშრომელთა ინტერესების აბუჩად აგდების შემთხვევებთან ჩვენს სახელმწიფო აპარატში. ამხ. **ლენინი** ფრიად დიდ ყურადღებას აქცევდა ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და მშრომელთა კანონიერი ინტერესების აბუჩად აგდებასთან ბრძოლის საქმეს. ჯერ კიდევ 1921 წელს, მოითხოვდა ის ყველა ბიუროკრატის და საქმის გამჭიანურებლის დაუნდობლად გამომჟღავნებას და მათ სამაგალითო დასჯას სასამართლოს საჩვენებელი პროცესების საშუალებით. დღესაც ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის და ბრძოლა ასეთი ხასიათის დანაშაულებებთან ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

შემდეგი მთავარი ამოცანა—ეს არის ბრძოლა ძველ ჩვევებთან, ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან.

იუსტიციის ორგანოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოები — წარმოადგენენ მუშათა კლასის ხელში კლასიური მტრის განადგურების იარაღს ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მშრომელთა მასის შორის სოციალისტური დისციპლინის და თვითდისციპლინის დანერგვის მნიშვნელოვან საშუალებას. ამ მხრივ იუსტიციის ორგანოების მუშაობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა იძულების, რეპრესიის მეთოდის გამოყენებასთან ერთად—აღმზრდელობის, შთაგონების და ახსნა-განმარტების მეთოდის გამოყენება, მასასთან კავშირის განმტკიცება, მასის ჩაბმა ამ ორგანოების მუშაობაში, მასების კონტროლის გაძლიერება ამ ორგანოების მუშაობაზე.

მე-17 პარტყრილობის მიერ დასახული ამოცანები და ამხ. **სტალინის** მითითებანი ავალებს იუსტიციის ორგანოებს მეტად მოქნილ მუშაობას. უნდა ვიცოდეთ რა არის მთავარი ჩვენს მუშაობაში დღეს—დღევანდელი კონკრეტული პირობების მიხედვით [illegible] კლასობრივი ბრძოლის ფორმები ყოველთვის ერთი და იგივე როდი არის. მტერი იცვლის ბრძოლის ფორმებს ამა თუ იმ პერიოდის კონკრეტული პირობების შესაბამისად. ამხ. **სტალინი**, უკეთებდა რა ანალიზს იმ სიძნელეებს, რომელიც თან სდევდა 1932 წლის პურის დამზადების კამპანიას, თავის ისტორიულ სიტყვაში სოფლად მუშაობის შესახებ ამბობდა: „მტერმა შეიგნო შეცვლილი ვითარება, შეიგნო ძალა და ძლიერება ახალი წყობისა სოფლად, ძლიერება ახალი წყობისა სოფლად, და შეიგნო რა ეს გარდაიქმნა, შესცვალა თავისი ტაქტიკა, გადავიდა პირდაპირი იერიშიდან კოლმეურნეობების წინააღმდეგ—მუშაობაზე ჩუმი შეპარვით. ჩვენ კი ეს ვერ გავიგეთ, ახალი ვითარება ვერ განვსჭვრიტეთ და განვაგრძობთ კლასიური მტრის ძებნას იქ, სადაც ის უკვე აღარ არის, განვაგრძობთ ძველ ტაქტიკას გამარტივებული ბრძოლისას კულაკობის წინააღმდეგ, მაშინ, როცა ეს ტაქტიკა დიდი ხანია რაც დაძველდა“.

ბელადის ამ მითითებიდან იუსტიციის ორგანოებმა უნდა გამოიტანონ სათანადო დასკვნა, უფრო მოქნილად აწარმოონ მუშაობა და ისე გარდაქმნან თავისი საქმიანობა, რომ გამოუმჟღავნებელი და დაუსჯელი არ დარჩეს არც ერთი „შეპარვით“ მომქმედი კლასიური მტერი, სოციალისტური საკუთრების მტაცებელი, წუნდებული პროდუქციის გამომშვები, შრომის დისციპლინის უხეში დამრღვევი, ბიუროკრატი, საქმის გამჭიანურებელი და მშრომელთა ინტერესების აბუჩად ამგდები და ყველა სხვა დამრღვევი ჩვენი სოციალისტური კანონიერების. იუსტიციის ორგანოების მუშაობა უნდა დაუყოვნებლივ გარდაიქმნას საქმით მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა საფუძველზე — საწარმოო დარგობრივი ნიშნის მიხედვით—და ეს ორგანოები უნდა უზრუნველყოფილ იქნენ კვალიფიციური და მუშაობის უნარის მქონე კადრებით.

რევკანონიერების განმტკიცების საქმეს შეიძლება საჭირო სამსახური გაუწიოს მხოლოდ მან ვინც ეს კანონები იცის, ვისაც ეს კანონები სწამს და აქვს უნარი ბრძოლისა მისი ცხოვრებაში მტკიცედ გატარებისათვის. პარტია და ხელისუფლება ფრიად დიდ ამოცანებს აკისრებს იუსტიციის ორგანოებს რევოლუციური კანონიერების განმტკიცების საქმეში ჩვენი განვითარების ეხლანდელ ეტაპზე. იუსტიციის ორგანოების და იქ მომუშავე ამხანაგების მოვალეობაა—თავისი საქმის სრული დაუფლებით გაამართლონ პარტიისა და ხელისუფლების ნდობა და აწარმოონ დაუღალავი ბოლშევიკური ბრძოლა სოციალისტური კანონიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

**დ. ხიხაძე.**

### მარგანეცი

18 ივნისს

სასაქონლო პროდუქციის გამოშვება (ტონობით)

| გეგმა | ფაქტიური | % |
|---|---|---|
| 3.026 | 2.136 | 70,6 |

ვაგონების მიწოდება

| მოთხოვნილი | მიეწოდა | დაიტვირთა |
|---|---|---|
| 120 | 120 | 120 |

### გ. დიმიტროვი

## ორი მსოფლიო*)

„ერნსტ ტელმანი სიკვდილით დასჯის ღირსია“ — ასეთი სათაურები ამ უკანასკნელ დროს სულ უფრო ხშირად გვხვდება გერმანიის ნაციონალ - სოციალისტური პრესის ფურცლებზე აი უკვე 15 თვეა, რაც ფაშისტური ხელისუფლება ამყოფებს ტელმანს ბერლინის საპყრობილეებში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სულ უფროდაუფრო საშიში ცნობები მოდის. სულ უფრო კონკრეტული ხდება ინფორმაცია, რომელიც მოწმობს, რომ მას ცუდად ეპყრობიან და აწამებენ. უფროდა-უფრო ხშირად გაისმის მუქარა, რომ ბოლო მოუღონ მას.

არ გასულა დიდი ხანი ტელმანის 1933 წლის 3 მარტს დაპატიმრების შემდეგ და ნაციონალ - სოციალისტთა მმართველმა წრეებმა გამოაცხადეს, რომ მზადდება „ტელმანის და კომპანიის“ გრანდიოზული პროცესი. შემდგომ ცდილობდენ წამოეყენებიათ ტელმანის წინააღმდეგ ბრალდება რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებასთან დაკავშირებით. რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდების შესახებ წარმოებული წინასწარი კვლევაძიების მასალებში მოიპოვებოდა „მოწმეთა“ სათანადო „ჩვენებანი“. მაგრამ ბოლოს-დაბოლოს მთავრობამ მაინც ვერ გაბედა ჩაება ტელმანი ლეიპციგის პროცესში. გაზეთებში კვლავ ქვეყნდებოდა ტელმანისათვის წაყენებულ ბრალდებათა ახალ-ახალი ვერსიები, მაგრამ ბრალდების ოფიციალურ ფორმულირებას დღითი-დღე აჭიანურებდენ.

ამავე დროს წარმოებდა აშკარად შეთითხნილი მრავალი სასამართლო პროცესი კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთაც ბრალდებათ უყენებდენ იარაღის შენახვას, ცეცხლწაკიდებას, მოწამვლას, აგრეთვე სახელმწიფო ღალატს ამ პროცესების, განსაკუთრებით კი რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდების საქმეზე აღძრული პროცესის საშუალებით მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ შეკრებდა „უტყუარ“ მასალას ტელმანის საწინააღმდეგო დიდი პროცესისათვის და შექმნიდა ქვეყანაში პროცესის წარმატებისათვის აუცილებელ ანტი - კომუნისტურ განწყობილებას, რბევა - აწიოკების სულისკვეთებას. ყველა ამ ცდას სასურველი შედეგები არ მოყოლია — საგრძნობლად ბრალდებული კომუნისტების გაბედული და ღირსეული ქცევის მეოხებით.

ნაციონალ - სოციალისტურმა მთავრობამ იცის, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის გასამართლება — ეს არის თითონ პარტიის და იმ ექვსი მილიონი ამომრჩევლის გასამართლება, რომელთაც ხმა მისცეს მის ბელადს, გერმანიის მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველი კომუნისტური პარტიის პროგრამის და პოლიტიკის გასამართლება. მთავრობამ იცის, რომ ამ პროცესის მომზადება და ჩატარება, გერმანიის მოსახლეობის მასებში მისი არაპოპულარობის გამო, უცხოეთის საზოგადოებრივი აზრის ფხიზელი მეთვალყურეობის დროს, პოლიტიკური მხრით იქნება საგრძნობლად უფრო საძნელო ამოცანა, ვიდრე პროცესი რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდების შესახებ.

ამ პროცესზე გამოაშკარავებულ იქნა ნაციონალ - სოციალისტებისათვის ფრიად არასასიამოვნო ფაქტები. ნაციონალ - სოციალიზმი ლეიპციგში სასტიკად დამარცხდა. ამან დაანახა ჰიტლერს, გერინგს და გებელსს, რომ ტელმანის სასამართლო პროცესი გადაიქცევა მათთვის სერიოზული აწეწილობის შემცველ პოლიტიკურ პროცესად. სწორედ ამით აიხსნება ის დაბნეულობა, რომელიც ემჩნევა მთავრობის წრეებს მათ მიერ პოზიციის არაერთხელ შეცვლა და ტელმანის პროცესის გადადება.

გერმანიაში მზარდი ანტიფაშისტური მოძრაობის, საზღვარგარეთ მზარდი აღშფოთების და პროტესტის ტალღის ზეგავლენით, ჰიტლერის მთავრობა ახლა ცდილობს სხვანაირად გადაწყვიტოს საქმე. მან გამოსცა ახალი ბარბაროსული კანონი, რომელიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას ისეთი მოქმედებისთვისაც კი, როგორიცაა „მასებზე გავლენის მოხდენა ლიტერატურის, გრამოფონის ფირფიტების, ყოველგვარი ნახატის და სხ. გამოცემის ან გავრცელების გზით“. მან შემოიღო ეგრეთწოდებული „სახალხო სასამართლოები“, რომლებიც ნამდვილად წარმოადგენენ ნაციონალ - სოციალისტურ სასამართლოებს. მათი ამოცანაა იყვნენ კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული სასიკვდილო იარაღი ფაშისტ-მკვლელთა ხელში. უცხოეთის პრესამ სამართლიანად უწოდა ამ კანონს კანონი ტელმანის წინააღმდეგ.

სწორედ ამ საშინელი კანონის საფუძველზე, ამ საზიზღარ სასამართლოში აპირებს ახლა მთავრობა გაარჩიოს ტელმანის საქმე.

მაგრამ გერმანიის მუშების ბელადის სასამართლოს წესით გასამართლება და მისთვის „კანონიერი“ მსჯავრდადება როდია ერთადერთი საფრთხე, რომელიც მას ემუქრება. ნაციონალ-სოციალისტ მბრძანებელთა თავში, როგორც ჩანს, მწიფდება განზრახვა სხვა გზით მოიშორონ თავიდან ეს საშიში მტერი, ის, რაც მე პირადად ვნახე ბერლინის, ლეიპციგის და მიუნხენის საპყრობილეებში, აგრეთვე საკონცენტრაციო ბანაკებიდან და საპყრობილეებიდან მოყვანილ მოწმეთა ჩვენებანი ლეიპციგის პროცესზე მოწმობს, რომ ნაციონალ-სოციალისტურ მთავრობას მრავალზე მრავალი საშუალება გააჩნია თავისი პატიმრების ფიზიკური და მორალური მოსასპობისათვის. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენამდე აღწევს ერნსტ ტელმანისათვის საპყრობილეში შექმნილი პირობების შესახებ, სავსებით შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ მას სიკვდილამდე მიიყვანენ უაღრესად ვერაგულ ინკვიზიტორული მეთოდებით.

როგორიც არ უნდა იყოს ნაციონალ-სოციალისტების განზრახვები მასთან ანგარიშის გასწორების მეთოდების მხრივ, ერთი რამ ცხადია: ტელმანი უშუალო სასიკვდილო საფრთხეს განიცდის.

თუმცა ტელმანის წინააღმდეგ წამოყენებული ოფიციალური ბრალდება ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, ნაციონალ-სოციალისტური პრესა უკვე გვაგრძნობინებს, რომ მას პირველ რიგში აკისრებენ მორალურ და ფაქტიურ პასუხისმგებლობას ყველა მკვლელობისა და ტერორისტული აქტებისათვის, რომლებიც ვითომ ჩადენილი იყო უკანასკნელ წლებში კომუნისტების მიერ ნაციონალ-სოციალისტების მიმართ.

კომუნისტების დევნას და ტელმანისათვის ბრალდების წაყენებას საზიზღარი სიცრუე უდევს საფუძვლად.

მებრძოლ რევოლუციურ მუშებს, ტელმანის ხელმძღვანელობით, არც მკვლელობანი, არც ტერორისტული აქტები არ ჩაუდენიათ, ხოლო ნაციონალ-სოციალისტებმა ხელისუფლების სათავეში ჩადგომამდე მრავალი ტერორისტული აქტი მოახდინეს.

უდავოა ის ფაქტი, რომ შეიარაღებული ნაციონალ-სოციალისტური რაზმები მოეწყო რევოლუციონერ მუშების, კომუნისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ნაციონალ-სოციალისტებმა გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენეს ინდივიდუალური ტერორის მეთოდი. არ შესწევდა რა უნარი წარმატებით ეწარმოებინა იდეოლოგიური კამპანია მარქსიზმის წინააღმდეგ, კომუნიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ნაციონალ-სოციალიზმი ვერ შეედრება ვერც იდეოლოგიურად, ვერც მასებში წარმატების და მასებზე გავლენის მხრივ, ჰიტლერი (სწორედ პირადად მას ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა ამ აქტისათვის) გეგმაზომიერად აწყობდა თავის შეიარაღებულ მოიერიშეთა თავდასხმებს რევოლუციონერ მუშებზე. მრავალი ასეული საუკეთესო გერმანელი მუშა გახდა ნაციონალ-სოციალისტთა ტერორისტული აქტების და პროვოკაციების მსხვერპლი.

როგორც ალტონაში მომხდარი სისხლისღვრის დროს, ისე მთელ რიგ შეტაკებებში ერთის მხრით მოიერიშეებსა და მეორეს მხრით კომუნისტ და სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის, ამ შეტაკებების [illegible] ყოველთვის იყო ნაციონალ-სოციალისტების მიერ მოწყობილი პროვოკაცია. თუ ამ შეტაკებების დროს დასჭრიდენ ან მოჰკლავდენ გერმანელ სტუდენტებს, ფანატიკოს ყოფილ ოფიცრებს ან თავადებს, რომლებიც წარმოადგენენ ნაციონალ-სოციალიზმის იარაღს, ისინი იღუპებოდენ როგორც მსხვერპლნი პროვოკაციის, ტერორის და მკვლელობის პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდენ ჰიტლერი, გერინგი და გებელსი და რომლისგანაც თავდაცვის სრული უფლება ჰქონდათ მუშებს.

ნაციონალ - სოციალიზმს არ შესწევდა უნარი იდეოლოგიური და პოლიტიკური საშუალებებით ებრძოლა კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური შემოტევისა და ერთიანი ფრონტის პოლიტიკის წინააღმდეგ. კარლ ლიბკნეხტის და როზა ლუქსემბურგის, რატენაუს და ერცბერგერის მკვლელთა ნაციონალ-სოციალისტ თანამონაწილეებს ხანჯლისა და რევოლვერის გარდა არავითარი სხვა იარაღი არ ჰქონდათ განუზომლად უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის — კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სწორედ ამან აიძულა ნაციონალ-სოციალისტები მიემართათ პროვოკაციებისა, ტერორისტული აქტებისა და მკვლელობისათვის. რევოლუციონერი მუშები ამ შემთხვევაში მხოლოდ თავს იცავდენ. მათ არ უნდოდათ დახოცილიყვნენ წინააღმდეგობის გაუწევლად. მაგრამ ამ ბრძოლაში ისინი უფრო ცუდ მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ფაშისტები. მათ არ ჰყავდათ არც კრუპი, არც ტისენი, რომლებიც ფულს აძლევდენ ჰიტლერს მის მოიერიშეთა რაზმების შესაიარაღებლად.

ახლა ჰიტლერს უნდა ბოროტმოქმედებანი, რომლებისთვისაც იგი პასუხისმგებელია, დააკისროს კომუნისტებს და მათ ბელადს — ტელმანს, ისევე, როგორც იგი ამას ცდილობდა რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებასთან დაკავშირებით. მაშინ ეს ცდა სამარცხვინოდ ჩაიშალა. ამ დამარცხებისათვის, რომელმაც ძირფესვიანად შეარყია გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის ხელისუფლება, ჰიტლერს ახლა უნდა შური იძიოს რევოლუციურ პროლეტარიატსა და ტელმანზე.

ორი მსოფლიო შეხვდება პირისპირ მომავალ პროცესზე.

თავისუფლებისათვის მებრძოლი მსოფლიო და მასების მჩაგვრელი მსოფლიო.

ნამდვილი კულტურის მსოფლიო და ბარბაროსობის მსოფლიო.

ერთის მხრით ერნსტ ტელმანი — მუშათა, გლეხთა მილიონების, მშრომელი წვრილი ბურჟუაზიის და ინტელიგენციის განთავისუფლებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობიანობისათვის გმირი მებრძოლი.

მეორეს მხრით — ადოლფ ჰიტლერი, გერმანიის მუშების გამცემი და ჯალათი, ომის განსახიერება.

⁂

ერნსტ ტელმანი — ბოროტმოქმედი?

დიახ, ნაციონალ-სოციალისტების თვალში იგი ბოროტმოქმედია, იმიტომ, რომ იგი ნამდვილად იბრძოდა კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის გზით, — იმის ნაცვლად, რომ კავშირი შეეკრა კრუპთან და ტისენთან და გერმანელი მუშების ყველა სხვა ექსპლოატატორებთან.

იგი ბოროტმოქმედია აგრეთვე იმიტომ, რომ იბრძოდა ვერსალის ხელშეკრულების ბორკილებისაგან ნამდვილად განთავისუფლებისათვის რევოლუციის გზით, იმის ნაცვლად, რომ გაემართა ვაჭრობა გამარჯვებულ სახელმწიფოთა მთავრობებთან, დაედო ახალი სამხედრო კავშირები და მონაწილეობა მიეღო გაერთიანებული იმპერიალისტური კამპანიის მომზადებაში საბჭოთა კავშირის, მუშათა და გლეხთა თავისუფალი ქვეყნის, წინააღმდეგ;

იმიტომ, რომ იგი იბრძოდა გერმანელი ხალხის სისხლისმსმელთა, სამშობლოს მოღალატე სამეფო გვარეულობათა ექსპროპრიაციისათვის, — იმის ნაცვლად, რომ მათ გაუმაძღარ ხახაში ათას მილიონობით ჩაეყარა ხალხის ფული და მათთვის გზა გაეკვლია ტახტისაკენ;

იმიტომ, რომ იგი ყოველთვის იბრძოდა სამუშაო ხელფასის შემცირების წინააღმდეგ; — იმის ნაცვლად, რომ ექსპლოატატორებისათვის ხელში მიეცა საჯიჯგნად მუშები, დათანხმებულიყო კოლექტიურ ხელშეკრულებების გაუქმებაზე;

იმიტომ, რომ იგი იბრძოდა მშრომელთა ერთიანი ფრონტის შექმნისათვის, იმის ნაცვლად, რომ კაპიტალისტებთან ერთად მოეწყო „ნაციონალური შრომის“ სამარცხვინო ერთიანი ფრონტი, რომელიც უმწეო მუშებს ხელში უგდებს აღვირახსნილ კაპიტალისტებს, საწარმოთა და დაწესებულებათა მფლობელებს;

იმიტომ, რომ მან რევოლუციურ პროლეტარიატთან დაკავშირებულ მშრომელ გლეხობას უჩვენა მიწისთვის ბრძოლის გზა, ბანკებში და ტრესტებში მოკალათებულ სისხლისმსმელთა წინააღმდეგ ბრძოლის გზა, — იმის ნაცვლად, რომ გამოეცა მათთვის კანონი მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც აძლიერებს და ამარადისებს მიწათმფლობელის და მეჯახის ტირანიას წვრილი მშრომელი გლეხობის უმრავლესობაზე;

იმიტომ, რომ იგი იბრძოდა ახალი სოციალისტური წყობილებისათვის, რომელიც ახალ, უცნობ ჰორიზონტებს უხსნის მეცნიერებას და ხელოვნებას, — იმის ნაცვლად, რომ კოცონზე დაეწვა ლიტერატურის შედევრები და უნივერსიტეტის კარები დაეხშო ახალგაზრდა თაობისათვის;

იმიტომ, რომ — კაპიტალისტ მბრძანებელთა ნება-სურვილის წინააღმდეგ — იგი წავიდა პარიზში, რათა საფრანგეთის და გერმანიის ხალხი გაეერთიანებია თავისუფლებისათვის საერთო ბრძოლაში, — იმის ნაცვლად, რომ წაექსისიანებია ისინი ერთმანეთისათვის და გამოეწვია მათ შორის ომი, ან დაედო საზღვარი და ექსპლოატატორული ხელშეკრულებანი ამ „ძველთა ძველი მტრების“ გაბატონებულ კლასებს შორის.

იმიტომ, რომ ლეგინის, ლეიპარტის და გრასმანის ტიპის „მუშათა ბელადებით“ იგი არ ელაპარაკებოდა კლასობრივ მტერს, არ [illegible] ფაშიზმს, არ გადასულა აშკარად ან ფარულად მის ბანაკში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ერნსტ ტელმანი ნაციონალ-სოციალისტ ბელადების თვალში ბოროტმოქმედია იმიტომ, რომ იგი გერმანელი მშრომელი ხალხის ერთგული შვილია და მისი დამცველი ფაშიზმისაგან, იმიტომ, რომ იგი გერმანიის პროლეტარიატის და საერთაშორისო მუშათა კლასის სისხლი და სისხლთაგანი, ხორცი და ხორცთაგანი და სული სულთაგანია.

რა მოხდება, თუ ჰიტლერმა მოახერხა თავისი გეგმების სისრულეში მოყვანა?

ერნსტ ტელმანისათვის ანგარიშის გასწორება უეჭველად ძალიან გაამხნევებს ფაშისტურ ხროვას და დასაწყისი იქნება მუშათა მასების და პროგრესიული ინტელიგენციის ახალი, კიდევ უფრო სასტიკი, კიდევ უფრო მხეცური დევნისა.

ტელმანის განთავისუფლება — ეს მარტო დიდი, სასარგებლო კაცის და ბელადის სიცოცხლის გადარჩენა როდია. ტელმანის განთავისუფლება — ეს არის სხვა მრავალ ას და ათას ანტიფაშისტურ მებრძოლთა გადარჩენა და ანტი-ფაშისტური ფრონტის კოლოსალურად გაფართოება.

ომი — აი, ფაშისტების საშინაო და საგარეო პოლიტიკის რაობა. ომი მუშების და მშრომელი გლეხების წინააღმდეგ თავის ქვეყანა შიგნით და იმპერიალისტური ომი მის გარეშე. ომი, რომელიც თავისი საშინელებით, კულტურულ ღირებულებათა განადგურებით გადააჭარბებს ყველა წინანდელ ომს;

ამ იმპერიალისტური ომის მოსამზადებლად და ჩასატარებლად ჰიტლერის ფაშიზმმა უნდა უზრუნველყოს მასების სრულიად განუსაზღვრელი ექსპლოატაცია, განადგუროს და დაანგრიოს მუშათა რევოლუციური მოძრაობა, ცოცხლად დამარხოს საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპატიმროებში ამ მოძრაობის საუკეთესო ბელადები, შემოიღოს სიკვდილით დასჯა კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარი გამოხატულებისა და ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ყოველგვარი პროპაგანდისათვის, განვითარების საშუალება მოუსპოს მეცნიერებას და ხელოვნებას, მოახდინოს ისტორიის ფალსიფიკაცია, შექმნას სისხლიანი და ბარბაროსული გაბრუების ატმოსფერო.

ახლა, ისტორიულად მოძველებული ბურჟუაზიული დემოკრატიის დაცემის შემდეგ, მას შემდეგ, რაც გაკოტრდა სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ამ დემოკრატიის აღდგენისაკენ, იმ ბრწყინვალე ისტორიული მაგალითის არსებობის დროს, რომელსაც წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის წარმატება საბჭოთა კავშირში, თვითეულისათვის, ვისაც კი შეუძლია ისტორიის წაკითხვის უნარი, ნათელია, რომ მხოლოდ პროლეტარიატის მთლიან ფრონტს სხვა მშრომელებთან კავშირში — დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლის და კომუნიზმის [illegible] შეუძლია ფაშიზმის საბოლოოდ დამარცხება და იმპერიალისტური ომის საფრთხის აღმოფხვრა.

ლეიპციგის პროცესი იყო გერმანიის ფაშიზმის, ბნელეთის და რეაქციის ამ ძალების უდიდესი მორალური დამარცხება.

მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ შესაძლებელია ფაშიზმის გეგმების ჩაშლა, შეტევის სწორად წარმოება.

ბრალდებულ კომუნისტების გამართლება სრულიადაც არ იყო ჰიტლერის სამართლიანობის გრძნობის შედეგი. იგი იძულებული იყო გაემართლებიეთ ჩვენ იმ ბრძოლის ზეგავლენით, რომელიც წარმოებდა გერმანიაში და საზღვარგარეთ ბრალდებულთა განთავისუფლებისათვის.

მას შემდეგ, რაც გერმანიის ხალხის უმრავლესობამ, მათ შორის მრავალი ათასი ნაციონალ-სოციალისტი დარწმუნდენ ჩვენს უდანაშაულობაში და აღშფოთებით უარყვეს შეთითხნილი პროვოკაციული ბრალდებები; მას შემდეგ, რაც ამ საზიზღარი პროვოკაციით გამოწვეული აღშფოთება შეიჭრა გერმანიაში და გავრცელდა გერმანიის ხალხს შორის; მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა დაინახა, რომ ამ საკითხში იგი იზოლირებულია მთელი მსოფლიოსაგან — ჩვენი სიკვდილით დასჯა ნაციონალ-სოციალისტურ მთავრობისათვის უკვე არ წარმოადგენდა რაიმე პოლიტიკურ სარგებლობას. პირიქით, იგი სერიოზული საფრთხე იქნებოდა მასებზე, მათ საკუთარ შეიარაღებულ რაზმებზედაც კი მათი დემაგოგიური გავლენისათვის. ამიტომ ჰიტლერი იძულებული შეიქნა ხელი აეღო თავის პირვანდელ გეგმაზე.

ახლა, ერნსტ ტელმანის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო საჭიროა შევქმნათ გერმანიის შიგნით და მის გარეთ ისეთი მდგომარეობა, ისეთი განწყობილება, რომ ჰიტლერის მთავრობა, თავისი საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის, იძულებული გახდეს ანგარიში გაუწიოს მას და ხელი აიღოს თავის განზრახვაზე ბოლო მოუღოს ტელმანს.

„საჭიროა გავიმარჯვეთ ტელმანის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“ — სთქვა ჩვენმა მეგობარმა ანრი ბარბიუსმა, — და იგი სავსებით მართალია.

გერმანიაში მუშათა მასებსა და ინტელიგენციაში შორის იზრდება დიდი უკმაყოფილება და მტრული განწყობილება „მიხაკისფერ ხალათიანთა“ ბატონობისადმი. ტერორის მიუხედავად, სულ უფრო და უფრო ძლიერდება წინააღმდეგობა ფაშისტური ბატონობისადმი. ოპოზიციის სული ნაციონალ-სოციალისტების რიგებშიაც კი შეიჭრა. „უკმაყოფილოთა, კრიტიკოსთა და წამქეზებელთა“ რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ბ-ნი გებელსი იძულებული გახდა შეეწყვიტა თავისი ქადაგება მთელი ნაციის მთლიანობის შესახებ, ბელადისადმი ერთგულების შესახებ და დაეწყო ფართო კამპანია „პესიმიზმის“ წინააღმდეგ.

ეს უკმაყოფილება უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ შევქმნათ ფართო მოძრაობა ტელმანის დასჯის წინააღმდეგ, რასაც ფაშისტები ამზადებენ, მოძრაობა, რომელიც გადაულახავი დაბრკოლება იქნება ჰიტლერის საზიზღარი გეგმის შესრულებისათვის. ბრძოლა ტელმანის განთავისუფლებისათვის გადაიქცევა ნაციონალ-სოციალისტთა სისხლიანი ტერორისტული ბატონობის წინააღმდეგ გერმანიის ხალხის უმრავლესობის უკმაყოფილების და პროტესტის მძლავრ გამოხატულებად, განსახიერებად.

ლეიპციგის პროცესთან დაკავშირებით, საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპატიმროებში გაიგზავნა ასობით გერმანელი მუშა და ინტელიგენტი იმიტომ, რომ ისინი, საფრთხის მიუხედავად მამაცურად ლაპარაკობდენ სიმართლეს ამ პროვოკაციის შესახებ. ჩემი პატიმრობის დროს მე ბევრ ასეთ გაბედულ მებრძოლს შევხვდი. მე მუდამ დიდად მახარებდა, რომ პატიმრები არამც თუ არ იჩენდენ უიმედობას და სასოწარკვეთილების არავითარ ნიშნებს, არამედ, პირიქით, ამაყობდენ იმით, რომ მათ შეასრულეს თავისი, როგორც მებრძოლების და პატიოსანი ხალხის, მოვალეობა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლა, როცა საჭიროა მივაღწიოთ გერმანიის მუშათა განთავისუფლებას, როცა ჩვენ გვამხნევებს ლეიპციგის პროცესზე მოპოვებული გამარჯვება, კიდევ უფრო გადიდდება ტელმანის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა რიცხვი.

როგორც ლეიპციგის პროცესმა ცხადჰყო, გერმანიის მასები გააჩაღებენ ამ ბრძოლას. მაგრამ გერმანიის ანტიფაშისტური მუშები იბრძოლებენ კიდევ უფრო მეტი სიმამაცით და წარმატების მეტი შანსებით, თუ მათ დახმარებას გაუწევს მძლავრი მასობრივი მოძრაობა საზღვარგარეთ. გერმანიის ხალხმა არა მარტო უნდა იცოდეს, რომ არსებობს ეს მასობრივი მოძრაობა და დაინახოს იგი გებელსის კონტრრევოლუციის მრუდე სარკეში, არამედ მან უშუალოდ უნდა იგრძნოს იგი.

ამიტომ საჭიროა გამოვიყენოთ ყველა მეთოდი, ყველა საშუალება, რათა უშუალოდ დავუყვანოთ გერმანიის მშრომელთა ფართო მასებამდე, რომ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი და პატიოსნად მოაზროვნე ადამიანები მხურვალე სიყვარულით და ძმური სოლიდარობით უყურებენ ერნსტ ტელმანს, გერმანიის ჩაგრულ ხალხს და მტკიცედ, ურყევად გადასწყვიტეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ გერმანიის პროლეტარიატის ბელადის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ერნსტ ტელმანის გადარჩენა საერთაშორისო პროლეტარიატის ღირსების საქმეა და თვითეული პატიოსანი ადამიანის მოვალეობა.

---

*) გ. დიმიტროვის ბროშურიდან: „ტელმანის ხსნისათვის საბრძოლველად“, რომელსაც უახლოეს დღეებში გამოუშვებს უცხოელ მუშათა გამომცემლობა.

# მაღაზია — საბჭოთა კულტურული ვაჭრობის ცენტრალური რგოლია

(ტფილისი, მაღაზიის გამგეების წერილი)

საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაშლის მხრივ ჩვენ მთელი რიგი მიღწევები, მოგვეპოვება, მაგრამ მაინც არ არის საკმაო, რადგან ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ეს იმით არის გამოწვეული, რომ სავაჭრო ორგანიზაციებში, ხშირად საქმეს გულგრილად ეკიდებიან, ხდება გაფლანგვა, მტაცებლობა, ფასების საბჭოთა პოლიტიკას აშკარად არღვევენ და სხ.

პირველ რიგში საჭიროა გარდაიქმნას და გადახალისდეს საქონლის ბრუნვის ძირითადი რგოლი — **მაღაზია.** მაღაზია ის პუნქტია, სადაც ერთმანეთს ხვდება მომხმარებელი და წარმოების პროდუქტი.

ჩვენში ისეთი მაღაზიებია, რომლებიც წარმატებით მუშაობენ და ახორციელებენ საბჭოთა კულტურული ვაჭრობის პრინციპებს.

მაგალითად **„საქვაჭრობის“** ავეჯეულობის მაღაზიას № 11 (გამგე **ი. ბუზიაშვილი**) უკანასკნელი წლის სავაჭრო - საფინანსო გეგმები გადაჭარბებით აქვს შესრულებული. 1934 წლის პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა კი 139,1 პროც. შესრულდა: გეგმით გათვალისწინებული 400 ათასი მანეთის ნაცვლად 566,442 მანეთის საქონელი გაისაღა. წლიდან წლამდე იზრდება თვითშესყიდვის ხვედრითი წონა. 1934 წლის პირველ კვარტალისათვის თვითშესყიდვა საერთო საქონელბრუნვის 70 პროცენტს უდრიდა. მაღაზიამ მნიშვნელოვნად შეამცირა მიმოქცევის ხარჯები: ბრუნვის 4,5 პროცენტის მაგიერ იგი დაიყვანა 3,8 პროც.-მდე **ეს 5.586 მანეთის ეკონომიას იძლევა კვარტალში.** გამყიდველთა თვიურმა დატვირთვამ 40 ათასიდან 52 ათას მანეთს მიაღწია, უდიდესი ყურადღება ექცევა მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ მიზნით მაღაზიასთან მოწყობილია სადურგლო სახელოსნო, სადაც ღებულობენ მომხმარებელთა შეკვეთებს და აწარმოებენ ავეჯის გადაკეთებას მყიდველთა სურვილის მიხედვით.

შესამჩნევადაა აგრეთვე დაწინაურებული ტ.ს.მ.კ.-ის (ტფილისის სამომხ. ორგ. კ-რის მაღაზია № 1 გამგე მ. წითლიშვილი) 1934 წლის პირველ კვარტალში, გეგმით გათვალისწინებულ 840 ათასი მანეთის საქონლის მაგიერ გაყიდა 1.378 ათასი მანეთის საქონელი (გეგმა შესრულდა 164 პროც.), ხოლო საქონლის თვითშესყიდვის ხვედრითი წონა საერთო საქონელბრუნვაში 72 პროცენტამდე აიყვანა.

ასევე წინა რიგებში დგას „საქვაჭრობის“ მაღაზია № 2 (გამგე ი. ჯიოევი). მომხმარებელთა მოთხოვნის შესასწავლად აქ ჩამოყალიბებულია სპეციალური ბიურო, რომელიც გულდადებით სწავლობს მყიდველთა შენიშვნებს და მოთხოვნებს. ამის მიხედვით მაღაზია ახდენს ნაკლთა აღმოფხვრას და მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამიტომაა, რომ მან 1934 წლის პირველი კვარტალის საქონლის ბრუნვის გეგმა 172 პროცენტით შეასრულა. ამრიგად, როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზოგიერთ მაღაზიას საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაშლის დარგში თვალსაჩინო მიღწევები აქვს. მაგრამ ამ მიღწევებით დაკმაყოფილება შეუძლებელია, კერძოდ მას შემდეგ, რაც მე-17 პარტყრილობამ და საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა ჩვენ მაღაზიის გამგეებს უდიდესი მოვალეობა დაგვაკისრა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ, მაღაზიის გამგეებს, მრავალი დაბრკოლება გვეღობება წინ. ხშირად გვჭირდება სირბილი და ენერგიის დახარჯვა ისეთ საქმეებზე, რომელსაც არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. ყველა ეს ხდება იმიტომ, რომ ზემდგომი კოოპერატიული ორგანიზაციები, და **სახბანკიც** კი, ზოგიერთი თავისი ოპერაციით ხელს უშლიან მაღაზიის ნორმალურ მუშაობას; მაგალითად, ვიძენთ საქონელს იმ იმედით, რომ ბანკში ფული გვეგულება, მისვლისას კი აღმოჩნდება, რომ ფული (და ხშირად მეტად დიდი რაოდენობით) ჩამოწერილია სხვა რომელიმე მაღაზიის დავალიანების დასაფარავად. ასეთ მდგომარეობას სრული დეზორგანიზაცია შეაქვს ჩვენს მუშაობაში.

ან ავიღოთ მეორე მაგალითი, რომელიც არანაკლებ ხელისშემშლელია „საქვაჭრობას“ ჰყავს პასუხისმგებელი შემსრულებელი, რომლის მოვალეობაც არის წინასწარ შეამოწმოს ჩვენს მიერ გათვალისწინებული შესაძენი საქონლის სია. საქონლის შეძენის უფლება მხოლოდ იმის შემდეგ გვაქვს, როდესაც იგი „ვიზას“ დაადებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაღაზიის გამგე უკეთ იცნობს იმ რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილებას, სადაც მას უხდება მუშაობა და უნდა ჰქონდეს კიდეც უფლება როგორც საქონლის ასორტიმენტის განსაზღვრის, ისე მისი შეძენისა. ამასთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად ის, რომ მაღაზიის გამგე თვითონ უშუალოდ დაუკავშირდეს წარმოებას და იქიდან შეიძინოს საქონელი. ეს თავიდან აგვაშორებს ზედმეტი რგოლების გავლას და შესამჩნევად შეამცირებს ზედნადებ ხარჯებს.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მაღაზიებს მიეცეთ უფლება (იმის შემდეგ, რაც იგი თავის ზემდგომ ორგანიზაციებს გადაუხდის კუთვნილ თანხას) დაგროვილი თანხები თავის შეხედულებისამებრ გამოიყენონ.

მაღაზიების გამგეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ განსაზღვრონ და თავისუფლად შეარჩიონ ასორტიმენტი სამეურნეო ბაზებში.

მაღაზიის გამგეს, თანამშრომელთა წახალისების მიზნით უნდა შეეძლოს დაჯილდოება ზემდგომ კოოპ. ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად. აგრეთვე მაღ. სრულ უფლებებში უნდა შედიოდეს თანამშრომლების როგორც შერჩევა, ისე დათხოვნა, როცა ამას მაღ. ინტერესი მოითხოვს — იმ საპროდუქტო მაღაზიებს, რომლებსაც დიდი ბრუნვა აქვთ, უნდა გამოეყოს რაიონი პროდუქტების დასამზადებლად.

ამ პირობების შექმნა და მაღაზიების წესიერი დაგეგმვა, მაღაზიის გამგეებს შესაძლებლობას მოგვცემს შესამჩნევად გავაფართოვოთ საქონლის ბრუნვა და გამრავალფეროვნოდ საქონლის ასორტიმენტი.

**მაღაზიის გამგეები: ს. ლოგჯანიძე, მ. წითლიშვილი, დ. მამუჩაიშვილი, ის. ბუზიაშვილი, ი. ჯიოევი.**

# საგზაო მშენებლობა

## მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით

## 1 ივნისისათვის

### ადგილობრივ მნიშვნელობის გზებზე

საგზაო მშენებლობის წლიური გეგმა მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით მთელს რესპუბლიკაში 1 ივნისისათვის შესრულებულია 25,6 პროცენტით. გასულ წელთან შედარებით მოსახლეობის მონაწილეობა საგზაო მშენებლობაში ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა. თუ გ. წ. 1 ივნისისათვის ეს მონაწილეობა ფულად გამოხატულებაში 1.083.740 მანეთს შეადგენდა, მიმდინარე წლის 1 ივნისისათვის იგი უდრის 2,709,350 მანეთს.

ცალკე ავტ. რესპუბლიკებსა და რაიონებში ადგილობრივ მნიშვნელობის გზებზე მოსახლ. შრომითი მონაწილეობის გეგმების შესრულების მხრივ შემდეგ სურათს ვხედავთ:

| ავტ. რესპუბლიკები და რაიონები. 1. | წლიური დავალება (მანეთებში). 2. | შესრულება (მანეთებში). 3. | წლ. გეგმის შესრულება %% 4. | გაყვანილია ახალი გზა (კილომეტრები). 5. | შეკეთებულია გზები (კილომეტრები). 6. |
|---|---|---|---|---|---|
| აჭარისტანი | 400000 | 264366 | 66 | 4,2 | 9,6 |
| აფხაზეთი | 600000 | 84167 | 14 | 14,4 | 97,5 |
| სამხრეთ-ოსეთი | 400000 | 84984 | 21,2 | 6 | 13 |
| ლაგოდეხის რაიონი | 120800 | 88176 | 72,2 | 17,2 | — |
| სიღნაღის | 250000 | 79192 | 33 | 14 | 7 |
| გურჯაანის | 250000 | 243280 | 97,3 | 8,9 | 58,9 |
| ყვარელის | 112000 | 37713 | 33,6 | 5 | 0,4 |
| თელავის | 250000 | 167621 | 67 | 4 | 70 |
| საგარეჯოს | 240000 | 21854 | 9,1 | 4,5 | — |
| თიანეთის | 120000 | 2182 | 1,8 | 1 | 1 |
| დუშეთის | 180000 | 15120 | 8,4 | — | 5 |
| ხევის | 40000 | 10014 | 25 | 1,5 | 7 |
| ტფილისის | 350000 | 115600 | 44,4 | 5,5 | 10,2 |
| ყარაიას | 60000 | — | — | — | — |
| ბორჩალოს | 373000 | 212556 | 56,9 | 16,8 | 21,7 |
| ლიუქსემბურგის | 140000 | 56591 | 40,3 | 13,7 | 3 |
| ალბულახის | 290000 | 5807 | 2 | — | — |
| ბაშკირეთის | 140000 | 882 | 0,6 | 1,5 | — |
| წალკის | 230000 | 115 | 0,1 | — | 0,5 |
| ბოგდანოვკის | 200000 | 626 | 0,3 | 0,4 | — |
| ახალქალაქის | 280000 | — | — | — | — |
| ტოლოშის | 70000 | 23079 | 32,9 | 20 | — |
| ახალციხის | 140000 | 70466 | 50,3 | 12 | 13,5 |
| ადიგენის | 50000 | 13421 | 26,8 | 8,5 | 5,2 |
| ბორჯომის | 100000 | 34370 | 34,3 | 5 | 21,5 |
| სტალინისის | 290000 | 88133 | 30,4 | — | 27 |
| გორის | 290000 | 44703 | 15,4 | 11,5 | 8,9 |
| კასპის | 210000 | 70202 | 33,4 | — | 10,5 |
| ჭიათურის | 330000 | 99656 | 30,2 | 13,9 | 11 |
| ხარაგოულის | 180000 | 12595 | 7 | — | 3,4 |
| ბაღდათის | 180000 | 27188 | 16 | — | 6 |
| ზესტაფონის | 260000 | 37736 | 14,5 | 1 | 9 |
| ჩხარის | 180000 | 24859 | 13,8 | 6,5 | 3,5 |
| ტყიბულის | 100000 | 28139 | 28,1 | 6,9 | — |
| ქუთაისის | 290000 | 56007 | 19,3 | 8,3 | 9,5 |
| ვანის | 170000 | 39077 | 22,9 | — | 10 |
| სამტრედიის | 240000 | 27171 | 11,3 | — | 10 |
| ხონის | 190000 | 25306 | 13,3 | 1,9 | 8,4 |
| ცაგერის | 100000 | 76046 | 76 | — | 10 |
| ამბროლაურის | 170000 | 82747 | 48,7 | 6,2 | 14,5 |
| ონის | 100000 | 33914 | 33,9 | — | — |
| ქვ. სვანეთის | 50000 | — | — | — | — |
| ზემო-სვანეთის | 50000 | — | — | — | — |
| წალენჯიხის | 80000 | 22495 | 28,1 | 2,5 | 15 |
| ზუგდიდის | 280000 | 520 | 0,2 | — | — |
| ხობის | 120000 | — | — | — | — |
| ჩხოროწყუს | 140000 | 5691 | 3,9 | 1,3 | 2,5 |
| მარტვილის | 340000 | — | — | — | — |
| აბაშის | 260000 | 391 | 0,1 | 0,3 | 2,5 |
| სენაკის | 330000 | 23340 | 7 | — | — |
| ლანჩხუთის | 160000 | 120595 | 75,3 | 21 | 22,5 |
| ჩოხატაურის | 140000 | 37681 | 26,9 | — | 28 |
| ოზურგეთის | 168000 | 92406 | 55 | 5 | 47,4 |
| ს უ ლ | 10600000 | 2709350 | 25,6 | 248,4 | 619,2 |

როგორც ვხედავთ, რაიონებს შორის მოწინავე არიან: გურჯაანის, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, თელავის; გორის; ბორჩალოს რაიონები და აჭარისტანის ავტ. რესპუბლიკა, რომლებიც ჯერ-ჯერობით შეიძლება ჩაითვალონ უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკურ შტაბისა და გაზ „კომუნისტის“ გარდამავალ დროშის ალების კანდიდატებად.

გამონაკლისს შეადგენს ცაგერის რაიონი რომელსაც კარგად აქვს შესრულებული მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გეგმა, მაგრამ ჩამორჩება გზათა მშენებლობაში.

სამარცხვინოდ ჩამორჩება: საგარეჯოს, ყარაიას, ალბულახის, ბაშკირეთის, წალკის; ბოგდანოვკის; ახალქალაქის, ხარაგაულის, ქვ. სვანეთის, ზემო-სვანეთის, ზუგდიდის; ხობის; ჩხოროწყუს; მარტვილის და აბაშის რაიონები, რომელთაც მართებთ მუშაობის გაცხოველება.

## საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი

# ქართული პროზა სოციალისტური რეალიზმის გზაზე

(ამხ. ბ. ჟღენტის მოხსენება)

საბჭოთა ლიტერატურული მოძრაობის ძირითადი პრინციპი, სთქვა მომხსენებელმა, რადიკალურად განსხვავდება ბურჟუაზიული ლიტერატურის პრინციპებისაგან, საბჭოთა ლიტერატურის პრინციპი მდგომარეობს სინამდვილის სიმართლით აღნუსხვაში იმ ტენდენციებით, რომლებიც ახასიათებს სინამდვილეს. მთავარი ამ შემთხვევაში, საბჭოთა ლიტერატურისა და ამ ლიტერატურაში მომუშავეთათვის ისაა, რომ სწორად იქნეს გაგებული სინამდვილის რევოლუციური განვითარების ტენდენციები. საბჭოთა ლიტერატურას უნდა ახასიათებდეს ნიღაბების და „მშვენიერი ტყუილის“ უარყოფა. საბჭოთა მწერლობა აქტიური, ადამიანის ფსიქიკაზე რევოლუციონური ზემოქმედების საშუალება და ახალი ადამიანის კომუნისტურად აღზრდის იარაღია.

სოციალისტური რეალიზმის შინაარსს, სწორედ ეს ძირითადი პრინციპები შეადგენს. სოციალისტური რეალიზმი, როგორც მეთოდი გამომუშავებულ იქნა კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულად დაუფლებისა და ჩვენი, საბჭოთა თანამედროვე მწერლობის რევოლუციონურ სინამდვილესთან მისვლის შედეგად. სოციალისტური რეალიზმის თეორეტიული საფუძვლები მოცემულია მეცნიერად მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწერებში. სოციალისტური რეალიზმის ნიადაგზე, შეიძლება მათდა შეუმჩნევლად, დგანან ახლა მსოფლიოს გამოჩენილი მწერლები — როგორც მაგ. რომენ როლანი და სხვ. მომაკვდავი კაპიტალიზმის მხატვრული ლიტერატურა, კერძოთ პროზა კი დგას დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციაზე. ბურჟუაზიული ლიტერატურა არსებითად უარყოფს რეალიზმს — იქ გაბატონებულია მისტიციზმი, კულტიზმი, სტატიკა, პასიურობა და სინამდვილის უარყოფის ტენდენციები.

სოციალისტურ რეალიზმს ახასიათებს თემატიური მრავალფეროვანება, ჟანრობრივი სხვადასხვაობა და მხატვრულ-სტილისტურ საშუალებათა სარგებლობის მხრივ შემოქმედის მხატვრული ალღოსათვის ფართო გასაქანი. მარქსი და ლენინი გადაჭრით წინააღმდეგნი იყვნენ ერთფეროვანებისა, ერთ მოტივზე მღერის მხატვრობაში და ლიტერატურაში. ლენინი წინააღმდეგი იყო თემატიურად შეიძლება საინტერესო, მაგრამ გაფორმების მხრივ მოსაწყენი ნაწარმოებისა.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ქართული პროზის განვითარებისა და მისი მდგომარეობის ახლანდელი დონის დახასიათებაზე;

პროლეტარული დიქტატურის პერიოდში ქართულმა პროზამ უდიდესი ზრდა განიცადა. პროზამ უკანასკნელი 10—12 წლის განმავლობაში დასძლია ის ჩამორჩენილობა, რომლითაც იგი ხასიათდებოდა უკანასკნელი 30—35 წლის განმავლობაში პოეზიასთან შედარებით. ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშები შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების დროს. არა მარტო მწერალთა ახალი კადრების, არამედ ძველ, ცნობილ მწერალთა მხატვრული შემოქმედება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ავიდა თავის განვითარების უმაღლეს საფეხურზე. ამის დამადასტურებელ მაგალითებად მომხსენებელმა დაასახელა—შ. დადიანი, მიხ. ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი და სხვ. ისეთმა მწერალმაც კი, როგორიცაა კ. გამსახურდიაა მხოლოდ საბჭოთა საქართველოში ჰპოვა თავისი სამწერლო მოღვაწეობის ფართოდ გაშლის საშუალება.

შეიქმნა პროზის ოსტატების ახალი კადრი, რომელთა შორისაც არიან—კ. ლორთქიფანიძე, პან. ჩხიკვაძე, პ. მ. საყვარელიძე, დ. შენგელაია, ს. კლდიაშვილი, რაჟ. გვეტაძე, შ. ჩხეიძე, ე. პოლუმორდვინოვი და სხვ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის 1932 წ. 23 აპრილის დადგენილებამ გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში პროზის ფრონტზედაც. მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, ლ. ქიაჩელის—„ავი ალბა“ და მთელი რიგი სხვა დიდი მხატვრული პროზის ლიტერატურული დოკუმენტები ამ დადგენილების შემდეგაა შექმნილი. ლორთქიფანიძემაც ამ დადგენილების შემდეგ გამოაქვეყნეს საყოველთაოდ ცნობილი ბელეტრისტული ფრაგმენტები.

დამახასიათებელია აგრეთვე, რომ მთელმა რიგმა პროზაიკოსებმა ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოგვცეს მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებები. კ. ლორთქიფანიძის — „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, პ. საყვარელიძის „ქვა და რკინა“, პ. ჩხიკვაძის—„ნაბიჯები“, შენგელაიას — „ბათა ქექია“ „ფიცი“ და მთელი რიგი სხვა მოთხრობები მოწმობენ პროზის ოსტატების ერთგვარ მიღწევებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლების საქმეში.

მაგრამ ეს მიღწევები არ გულისხმობენ მას, რომ თითქოს პროზის დარგში ყველაფერი რიგზე იყოს. ჩვენი მხატვრული პროზა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება სოციალისტური მშენებლობის ტემპებს და ჩვენი ეპოქის მოთხოვნილებებს. ჩვენმა მხატვრულმა პროზამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო სოციალისტური მშენებლობის პროცესების მთელი სიღრმითა და ძალით გამოხატვა. პროზაში ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ სოციალისტური მშენებლობის ენტუზიასტებს— იმ ხალხს, ვისაც გაყავს გვირაბები, ვინც აშენებს ახალ გიგანტებს, ვინც თავდავიწყებით იბრძვის უკლასო სოციალისტური საზოგადოებისათვის. ჩვენმა პროზამ ჯერ კიდევ ვერ შეიძლო ჩვენი ეპოქის ასახვა მთელი თავისი სიღრმითა და სიდიადით. მწერლები (მ ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე და სხვ.) ჯერ კიდევ გაუბედავად მიდიან თანამედროვე თემატიკასთან. მთელმა რიგმა მწერლებმა ჯერაც ვერ დასძლიეს სავსებით პროლეტარიატის იდეოლოგიისათვის უცხო განწყობილებები, რომლებიც მათ ხელს უშლის სინამდვილის დანახვაში, მის ასახვაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდით (გამსახურდია, ნაწილობრივ მ. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი და სხვ.).

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მწერლის პირველი და მთავარი ამოცანა უნდა იყოს პროლეტარული იდეოლოგიის, მისი მსოფლმხედველობის შეთვისება. უამისოდ მწერალი ჩამორჩენილი იქნება ეპოქას, მას არ ექნება სათანადოთ შეიარაღებული მხატვრული მხედველობა, რომ დაინახოს სინამდვილის სოციალისტური რეალიზმის მეთოდით ასახვისათვის.

### კამათი ამხ. ჟღენტის მოხსენების გარშემო

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ—**ვ. გორგაძე, ბ. ჩხეიძე, ა. ქეიშვილი, დემნა შენგელაია და მიხ. ჯავახიშვილი.**

ორატორების უმრავლესობა შეჩერდა შემოქმედების საკითხებზე. აღნიშნავდნენ, რომ მწერალ - პროზაიკოსთა საგრძნობი ნაწილი ვერ ერკვევა სოციალისტური რეალიზმის რაობაში. პრაქტიკაში როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ეს მეთოდი შემოქმედების დროს და სხვ.

კამათში გამოსულები შეჩერდნენ აგრეთვე ენის სიწმინდეზე პროზაში. ვ. გორგაძემ თავის სიტყვაში მოიყვანა ამონაწერი 1905 წელს ტფილისში გამოცემული, ამხ. სტალინის მიერ დაწერილი ბროშურიდან, სადაც ამხ. სტალინი იცავს ენის სიწმინდის გამოთქმათა სიზუსტის აუცილებლობას.

## კონკურსი საუკეთესო სასოფლო საბჭოზე

# ჩავაბათ კონკურსში ყველა სასოფლო საბჭო

(ქუთაისი. „კომუნისტის“ ბრიგადისგან)

**ქუთაისის** ქალაქის საბჭო დაგვიანებით გამოეხმაურა საკავშირო კონკურსს საუკეთესო სასოფლო და საქალაქო საბჭოებზე. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, ე. ი. 6 მაისს, რაიონის ყველა სას. საბჭოში ჩატარდა ერთიანი საბჭოთა დღე. დამუშავდა კონკურსის პირობები და ამოცანები.

ადგილებზე მიმაგრებულ მუშაკების და სოფლის საბჭოების აქტივის ცხოველი მონაწილეობით რაიონის მთელმა რიგმა სას. საბჭოებმა ჩამორჩენის გამოსასწორებლად ფართოდ გაშალეს მუშაობა მაგ., **ქვიტირის, ჭოგნარის, ოფშკვითის და ნახშირღელის** სას. საბჭოებმა კონკურსის პირობები დააზუსტეს და დამატებით იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებანი, როგორიცაა, მეცხოველეობის ნამატის მოვლა და მისი უზრუნველყოფა, ხარისხოვანი საკვებით, სასოფლო ქუჩების მოკირწყვლა, საზოგადოებრივი შენობათა რემონტი და სხვ.

ოფშკვითის, ჭოგნარის და ნახშირღელის სასოფლო საბჭოებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფებს შორის. დასახულ იქნა ამოცანად სოფლის თვითეულ მშრომელამდე დაიყვანონ კონკურსის ამოცანები და ჩააბან ისინი ახალ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში. აი ამის პირველი შედეგიც: უკანასკნელი 5 თვეში **ოფშკვითის** სას. საბჭომ ხორცის დამზადების გეგმა შეასრულა 146,6 პროცენტით, ყველის—268,5 პროც. **ნახშირღელის** სას. საბჭომ ხორცის დამზადების გეგმა შეასრულა ვადაზე ადრე 102 პროც., ყველის—123,6 პროც., მოწინავე რიგებში დგანან აგრეთვე ქვიტირისა და წყალტუბოს სასოფ. საბჭოები.

ოფშკვითის სას. საბჭომ კონკურსით გათვალისწინებულ ვალდებულებათა საუკეთესო შესრულების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვია **საყულიის სას. საბჭო.** მაგრამ **საყულიის სასოფ. საბჭო, რატომღაც დუმს. ის დღემდე არ გამოხმაურებია ამ გამოწვევას.**

აღსანიშნავია ისიც რომ მთელმა რიგმა სას. საბჭოებმა, რომლებიც კონკურსში ჩაბმამდე თითქმის სრულ უმოქმედობას იჩენდენ, კონკურსში ჩაბმის შემდეგ შესამჩნევად გარდაქმნეს მუშაობა. ამის მაგალითს ქვიტირის სასოფლო საბჭო იძლევა. იგი დღემდე მეტად ჩამორჩენილი იყო, სექციები (ჯანმრთელობის, საფინანსო გადასახადის, კეთილმოწყობის და სხვ.). მხოლოდ ქაღალდზე არსებობდენ. მაგრამ ამ ბოლო დროს სექციებმა გამოაცოცხლეს მუშაობა, შემოიკრიბეს თავის გარშემო აქტივი, ეხმარებიან სას. საბჭოს ფულადი სახსრების მობილიზაციაში, ხორცის, ყველის და სხვა დამზადებათა გეგმების შესრულებაში, გზების შეკეთებაში და სხვა. სექციები ჩაბმული არიან ურთიერთ შორის სოცშეჯიბრებაში.

მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ მოიპოვება ისეთი სას. საბჭოები, რომლებიც არ არიან ჩაბმული კონკურსში, მაგ., **სიმონეთის** სას. საბჭო დღემდე არ ჩაბმულა კონკურსში. საბჭოს თავმჯდომარე ჯავახიძე ამ მდგომარეობას „ობიექტური მიზეზებით“ ხსნის: **„რა დროს კონკურსია, ჯერ თესვა და თოხნა არ დამიმთავრებია, როცა ამ საქმეს მოვრჩები, შემდეგ დავამუშავებ კონკურსის საკითხს“.** ასეთ უყურადღებობას იჩენს აგრეთვე კონკურსისადმი **გვიმრას** სას. საბჭო, ეს იმ დროს როდესაც ის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ სას. საბჭოდ ითვლება ქუთაისის რაიონში.

ფორმალურად ჩაებნენ კონკურსში და დღემდე არაფერი გაუკეთებიათ **ნამახვანი, გოდოგნის, მუხიანის და საყულიის** სას. საბჭოებს.

რა არის ზოგიერთი სას. საბჭოს ჩამორჩენის მიზეზი? ის, რომ ქალაქის საბჭო სუსტად ხელმძღვანელობს სოფლის საბჭოებს. მისი ინსტრუქტორები ჩამორჩენილ საბჭოებს არ ეხმარებიან.

ქალაქის საბჭომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები დეფექტების აღმოსაფხვრელად.

ვ. ლალიაშვილი.
დ. გვილავა.

# ანტი-ფაშისტის ხრისტიან მერცის გმირული საქციელი

ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის ორგანო „ველტფრონტში“, რომელსაც საფრანგეთში სცემს ანრი ბარბიუსი, გამოქვეყნებულია შემძრწუნებელი დოკუმენტი — ფურცელი, დამზადებული სამ ათას ეგზემპლარად მანჰეიმელი უმუშევრის ხრისტიან მერცის მიერ. ეს ფურცელი, რომელზედაც არის ავტორის ხელმოწერა და მისამართი, წარმოადგენს საბრალმდებლო აქტს ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ. მერცმა იცის თუ რა მოელის მას ამ ნაბიჯის შემდეგ და თხოვს უცნობ მუშებს, იზრუნეთ ჩემს დამბლა დაცემულ ცოლზე, როცა მე მესამე იმპერიის ჯალათები გამთოკავენ.

მოგვყავს ფურცლის ტექსტი:

„მე, ქვემორე ხელისმომწერს და ჩემს დამბლა დაცემულ, შრომის უნარმოკლებულ ცოლს მოგველის შიმშილით სიკვდილი რადგან ღარიბებზე მზრუნველმა ორგანომ საბოლოოდ მოგვისპო ყოველგვარი დახმარება. ამ საშინელი ღონისძიებით შეგნებულად ცდილობენ არა მარტო იმას, რომ ნელნელა დავიხოცოთ შიმშილით, არამედ უნდათ აგრეთვე წაგვართვან სინათლე და წყალი, დაგვტოვონ უსახლკაროდ, რადგან ჩვენ არა გვაქვს ფული რომ გავისტუმროთ გაზის და ბინის ქირა.

რა დანაშაული ჩავიდინე მე, რით დავიმსახურე ასეთი არა ადამიანური სასიკვდილო განაჩენი? მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ **მე არ მსურს უარვყო ჩემი მარქსისტული შეხედულებანი,** ჩემი ცოლი კი, მისდა საუბედუროდ, ელზასელია.

გარდა ამისა, მე ასე ბარბაროსულად მეპყრობიან აგრეთვე შემდეგი მიზეზით: როცა მე ძალით მაიძულეს შევსულიყავი ნაზმეიმის შრომის ბანაკში, **მე უარი განვაცხადე.**

1) მიმეცა სისხლი გასასინჯად ჩემი რასის გამოსარკვევად, რადგან მე რასიული თეორიის წინააღმდეგი ვარ;

2) მე უარი განვაცხადე სამხედრო ვარჯიშობაზე და სალდათურ წვრთნაზე, რადგან მე ამიყვანეს სამუშაოდ და არა სალდათობის სათამაშოდ;

3) მე უარი განვაცხადე მესწავლა და მემღერა ნაციონალ - სოციალისტური ჰიმნები, რადგან ამაში ვხედავ ჩემი თავის და ჩემი რწმენის აბუჩად აგდებას;

4) **მე არ ამიწევია ხელი „ჰიტლერის მისასალმებლად“, რადგან მისალმება „გაუმარჯოს ჰიტლერს“ ნიშნავს „სიკვდილი ტელმანს, სიკვდილი ყველა მარქსისტს;**

5) მე უარს ვამბობდი ქუჩებში მეტყენა იძულებითი დემონსტრაციებზე, ვთვლიდი რა ამას ჩემი პირადი თავისუფლების უკანონოდ დარღვევად.

მე უარს არ ვამბობდი მხოლოდ ერთ რამეზე, სახელდობრ — მუშაობაზე. მაგრამ ჩემი მაგალითი ცხადჰყოფს, რომ ფაშისტები ზრუნავენ არა იმისთვის, რომ უმუშევრებს სამუშაო მისცენ, არამედ იმისთვის, რომ დაიმონონ ისინი, და ვაი იმას, ვინც გაბედავს ამის წინააღმდეგ წასვლას —მას მოელის შიმშილით სიკვდილი. განა შეიძლება დანაშაულად ჩამეთვალოს ის, რომ ვიბრძვი ჩემი არსებობისა და ჩემი ცოლის არსებობისათვის? განა შეუძლია ვინმეს არ გამოეხმაუროს ჩემს მოწოდებას დახმარების შესახებ, განა შეუძლიათ სდუმდენ ისინი, ვისთვისაც ადამიანის, ღირსება ადამიანის უფლება და ადამიანობა ლიტონ სიტყვებს არ წარმოადგენს?

მე განსაკუთრებით ვთხოვ გემების ყველა კაპიტანს, ცეცხლფარეშებს და მეზღვაურებს, მოგზაურებს და შოფერებს, რომელნიც შეიძლება მოხვდენ ელზასში ან საარის ოლქში, აცნობონ ჩემი ცოლის ნათესავებს ჩვენი საშინელი ბედი.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მე ჩამიმწყვდევენ, სამართალში მიმცემენ როგორც მეამბოხეს და სახელმწიფოს მოღალატეს, და ჩემი ავადმყოფი, უმწეო ცოლი ხელისუფლების და ნაციონალისტურად განწყობილ მეზობლების მსხვერპლი გახდება.

გადაეცით აგრეთვე ჩემს ნათესავებს, რომ მე განვაგრძობ სიარულს იმ გზით, რომელიც ავირჩიე ჩემი რწმენის თანახმად, რომ მე ჯანსაღი ვარ ფიზიკურად და მორალურად. როცა მე საპატიმროში წამიყვანენ გაფხვნილი ადგილიც კი არ მქონია სხეულზე.

რომელი საწარმო იკისრებს შეფობას ჩემს ავადმყოფ ცოლზე?

ხრისტიან მერცი.

მანჰეიმი, იუნგბუშშტრასე, 25.
მე-4 სართული“.

როგორც „ველტფრონტი“ იტყობინება, ხრისტიან მერცი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც მან გაავრცელა ეს ფურცელი. „ველტფრონტის“ რედაქციამ მიმართა ყველა საწარმოს მუშა-ქალებს მოწოდებით იკისრონ შეფობა მამაც ხრისტიან მერცის ცოლის მიმართ და იზრუნონ, რათა მთელს გერმანიაში გაიგონ ამ „დემონსტრაციის ამბავი მიხაკისფერი ჭირის წინააღმდეგ“.

# საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ კონტროლის კომისიის დადგენილება

1. გაუქმებულ იქნას ამიერ-კავკასიის რკ. გზის პოლიტგანყოფილებასთან არსებულ პარტკომისიის 1934 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც სასტიკი საყვედური გამოეცხადა ამხ. სანაკოევს და პარტიიდან გაირიცხა ამხ. მაისურაძე.

2. აღინიშნოს პარტიული საქმეების გადაწყვეტის წესის სრულიად შეუწყნარებელი დარღვევა, რაც დაშვებულ იქნა პარტკომისიაში ამხ. სანაკოევის და მაისურაძის საქმის განხილვის დროს — საყვედურის გამოცხადება და პარტიიდან გარიცხვა მოხდა დაუსწრებლად, როცა შესაძლებელი იყო მათი გამოწვევა.

# ექიმთა გადასამზადებელი კურსები

1933 წლის 15 ოქტომბრიდან ტფილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან ჯანსახკომმა მოაწყო ექიმთა გადასამზადებელი კურსები, რომლის დანიშნულებაა პროვინციაში მომუშავე ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება, მათთვის მედიცინის უკანასკნელი მიღწევების გაცნობა და თეორიულ - პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება.

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში დიდი ხანია ჩამოყალიბებულია სპეციალური ინსტიტუტები. ტფილისში ამ მხრივ გვიან დაიწყო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებების მიღება, მაგრამ აღნიშნული კურსების დაარსებამ უდავოთ დადებითი შედეგი მოიტანა;

15 მარტს მოხდა თერაპიულის (11 მსმენელი) და ქირურგიული (5 მსმენელი) 4 თვიანი ციკლის მსმენელთა გამოშვება. კურსებზე ჩატარებული მუშაობა მსმენელებისა და ჯანსახკომის მიერ შეფასებული იქნა ფრიად დამაკმაყოფილებლად.

ამჟამად მეცადინეობა წარმოებს 4 ციკლზე. რენტგენოლოგიურ ციკლზე მეცადინეობა დაიწყო პირველ იანვრიდან და გაგრძელდება პირველ ივლისამდე; მასში 12 მსმენელი ირიცხება. აღსანიშნავია, რომ რენტგენოლოგიურ კურსებზე უმთავრესად სწავლობენ არარენტგენოლოგი ექიმები, რომლებიც კურსების დასრულებისა და სპეციალური გამოცდების ჩაბარების შემდეგ ღებულობენ ექიმ - რენტგენოლოგის სახელწოდებას; რაც შეეხება სამ დანარჩენ ციკლს, როგორიცაა — თერაპიული (7 მსმენელი), გინეკოლოგიური (7 მსმენელი) და პედიატრიული (7 მსმენელი) აქ სწავლების ხანგრძლივობა 4 თვეს უდრის.

### როგორია სასწავლო პროგრამა და გადაცემის მეთოდი

თითოეული ციკლის პროგრამა შედგენილია ისე; რომ ამათუიმ საგნიდან იკითხება რჩეული თავები მედიცინის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. საერთოდ სასწავლო პროგრამათა პროფილი ისეთნაირადაა გამიზნული, რომ იგი პროვინციაში მომუშავე ექიმს აძლევს ფართო სამედიცინო განათლებას და გარკვეულ სპეციალობაში ღრმა თეორიულ - პრაქტიკულ ცოდნას.

საგანი იკითხება ლექციური სისტემით და წაკითხულის დამუშავება პრაქტიკულად წარმოებს კლინიკაში ან ლაბორატორიაში.

ექიმთა გადასამზადებელი კურსების სამეცადინო ბაზას ძირითადათ წარმოადგენს ტფილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკები და ლაბორატორიები და ამას გარდა ჯანსახკომის გამგებლობაში მყოფი სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები.

თერაპიული ციკლისათვის სალექციოთ და პრაქტიკული ვარჯიშობისათვის განკუთვნილია 603 საათი, რაშიაც 90 საათი ფაკულტატიურ (არასავალდებულო) საგნებს უჭირავს. ქირურგიული ციკლზე სავალდებულო საგნებისათვის განკუთვნილია 500 სამეცადინო საათი და ფაკულტატიურ საგნებისათვის კი 130 საათი. პედიატრიულ განხრის სამეცადინო საათების რიცხვი 577-ს უდრის, ხოლო გინეკოლოგიურისათვის კი 534 საათს. რენტგენოლოგიურ ციკლისათვის სალექციო საათების რაოდენობა 268 საათია. დანარჩენ დროს ამ კურსების მსმენელები ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას რენტგენის კაბინეტებში.

ექიმთა გადასამზადებელ კურსების ყოველ ციკლზე იკითხება დიალექტიური მატერიალიზმი; საბჭოთა სოციალისტური ჯანდაცვის ძირითადი საფუძვლები და სისხლის გადასხმა. ეს უკანასკნელი ფრიად აქტუალური საკითხია თანამედროვე მედიცინაში, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულის თვალთახედვით. ჩვენში სისხლის გადასხმის საქმე სრულიად ახლად დაწყებულია და ექიმთა ფართო წრეებისათვის ჯერ კიდევ უცნობია. ამისათვის ეს საგანი ყოველ ციკლზე იკითხება, რადგან თანამედროვე ექიმის აუცილებელ ვალდებულებაში შედის სისხლის გადასხმის თეორიის ძირითადი საფუძვლების და პრაქტიკული გამოყენების მეთოდის ცოდნა.

### რა არის მტკივნეული საკითხი

ექიმთა გადამზადებას ჯანსახკომის ხელმძღვანელობს. სწავლის და ბინის ხარჯებს ჯანსახკომი ფარავს, რაიონებიდან მოვლინებულ ექიმებს ადგილებიდან ეძლევა ხელფასი.

ექიმთა გადასამზადებელ კურსებს მეტი რაოდენობის ექიმების მეტი გატარება შეუძლია, ვიდრე ეს დღეს ხდება მაგრამ რაიონების ჯანორგანოები ნაკლებ აფასებენ ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებას, გულგრილად ეპყრობიან ამ მნიშვნელოვან საქმეს და ამის გამო არ იგზავნება გადასამზადებელ ექიმთა საკმაო რაოდენობა. საჭიროა ჯანსახკომმა და რაიონულ ჯანორგანოებმა ეს ნაკლი დაუყოვნებლივ გამოასწორონ.

კურსებზე მომავალი სასწავლო წელი 15 სექტემბრიდან დაიწყება. ციკლების რაოდენობა დამოკიდებულია რაიონებიდან წამოყენებულ მოთხოვნაზე. განზრახულია დამატებით სანიტარულ - ეპიდემიური ციკლის გახსნა.

იხსნება მრავალი საავადმყოფოები, რენტგენის კაბინეტები, ლაბორატორიები, ფიზიოთერაპიული განყოფილებები და სხვა; რაც კვალიფიციურ ექიმთა კადრებს მოითხოვს, დღის საკმარისად მომწიფებულია საკითხი ექიმთა გადასამზადებელ კურსების დამოუკიდებელ ინსტიტუტად გარდაქმნის შესახებ, რომლის განსახორციელებლად არსებობს ყოველგვარი შესაძლებლობა.

ალ. მინდაძე

# გამარჯვების კანდიდატები

(ქობულეთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

**ქობულეთის** რაიონში თავის დროზე გაიშალა მუშაობა სასოფლო საბჭოების საკავშირო კონკურსში ჩაბმისათვის. 10 მაისისათვის ყველა სოფლის საბჭო ჩაბმული იყო კონკურსში.

კონკურსით დასახულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით სასოფლო საბჭოებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. არაა არც ერთი საბჭო, რომელიც შეჯიბრების გარეშე იყოს დარჩენილი. შეჯიბრების საგანია: — ჩაის, ციტრუსების, მეცხოველეობის დარგში, ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებისა და საგზაო მშენებლობის ფრონტზე სამუშაოთა ვადამდე და მთლიანი შესრულება.

**ხუცუბანი** შეეჯიბრა ამხ. **ვოროშილოვის** სახ. სას. საბჭოს, **დაგვა—ჩაქვს, მუხა-ესტატე—ლეღვას, ზერაბოსელი—ჯაბათს და ხადა—ქობულეთს.**

თვითეულ სასოფლო საბჭოს შემოღებული აქვს საკონტროლო რვეული ცალკე სამუშაოთა შესრულების აღსარიცხავად..

პირველ საკავშირო კონკურსში გამარჯვებული გამოვიდენ **ხუცუბანის და დაგვის** სას. საბჭოები, რომლებიც ოპერატიული მუშაობის უფრო გაძლიერების შედეგად დღემდე მოწინავე რიგებში დგანან.

**ხუცუბნის საბჭომ (თავმჯდომარე ხასან პაპუნაშვილი)** დიდ წარმატებებს მიაღწია ციტრუსოვანთა კულტურების განვითარების საქმეში. მან წელს ლიმონი გააშენა 2,8 ჰექტარზე (გეგმის 105 პროც.), მანდარინი გეგმის გარეშე—9,2 ჰექტ., გეგმის გარეშე გააშენა სუბტროპიკული ხეხილი—5,6 ჰექტარზე, 30 მაისისათვის მთლიანად შეასრულა ციტრუსების პლანტაციების პირველი თოხნა და შეწამვლა—166,2 ჰექტარზე. საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩაის მოსავლის აღებას, და დამუშავებას. ჩაის პლანტაციების პირველი თოხნა 288,9 ჰექტარზე 9 დღით ადრე დაამთავრა და შეუდგა მეორე თოხნას. 1 ივნისისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა 128 პროც. შეასრულა (მოკრეფილია 33,9 ტონა მწვანე ფოთოლი).

ჩაის ფოთლის კრეფის, პლანტაციების თოხნის და ციტრუსოვან ნარგავთა მოვლა-პატრონობის საქმეში თითქმის ყველა სასოფლო საბჭო მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა სას. საბჭოებმა გადაჭარბებით შეასრულეს; ხოლო ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების პირველი თოხნა 5—6 დღით ადრე დაამთავრეს.

სასოფლო საბჭოები დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა მეურნეობებს მუშა-ხელით. მაგალითად **მუხა-ესტატის** სოფლის საბჭომ **ოჩხამურის** ჩაის საბჭოთა მეურნეობას დახმარება აღმოუჩინა 500 კაც-დღით, მუხა-ესტატის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობას —400 კაც-დღით და ალამბრისას—200 კაც-დღით.

არიფ ხარაზი.

# ექიმი ასეთი უნდა!

უდაბნოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის საექიმო პუნქტის გამგედ არის ექ. ი. **ჩიგოგიძე**, რომელიც ბოროტად იყენებს თანამდებობას. ფაქტები: აღნიშნული მეურნეობის საუკეთესო მუშები: **ი. კენკიშვილი, კევლიშვილი და შათირიშვილი** როდესაც მივიდენ საექიმო პუნქტში საექიმო დახმარების მისაღებად, ექ. ი. **ჩიგოგიძემ** უკან გამოაბრუნა და სიმულიანტები უწოდა. აღნიშნული მუშები კი მართლაც დაავადებული იყვნენ. ა.-წლის მარტის ბოლო რიცხვებში ჩამოვიდა მეცხოველეობის კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ი. დოლიძე**, რომელმაც საფუძვლიანად გამოიკვლია მეურნეობის ყოველი მხარე და მასთან ნათლად გამოარკვია, რომ ექ. ი. **ჩიგოგიძე** სრულიად არ უწევდა საექიმო დახმარებას მწყემსთა ბრიგადებს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ექ. ი. **ჩიგოგიძე** სათანადო ყურადღებით არ მოეპყრო მეოთხე ფერმის ბრიგადის უფროსს **აბრამ ჯანყარაშვილს**, რომელიც მძიმე ავადმყოფი თითქმის ერთი კვირა უპატრონოდ იწვა საჯინიბოში.

ექ. ი. **ჩიგოგიძე** ვალდებულია მწყემსებთან ახლოს იყოს საექიმო დახმარების გასაწევად, მაგრამ ის ამისთვის ნაკლებად იწუხებს თავს. სამაგიეროდ ღვინით გალეშილი მეურნეობის ცხენით დანავარდობს წალკის რაიონში. ერთხელ წალკის საექიმო პუნქტში მიიყვანეს მეურნეობის ავადმყოფი თანამშრომელი. ამ ავადმყოფის მკურნალობაში ჩაერია შემთხვევით იქ მყოფი ექ. ი. **ჩიგოგიძე**, რომელიც ძალზე მთვრალი იყო. წალკის რაიკომის მდივანმა ამხ. **ნაზაროვმა** და პოლიტსამმართველოს უფროსმა **ვარაზოვმა** ექ. ი. **ჩიგოგიძე** მაშინვე გამოიყვანეს საექიმო პუნქტიდან.

უდაბნოს მეცხოველეობის მეურნეობას აქვს საზაფხულო საძოვრები ბაკურიანის მთაზე, რომელიც გარშემორტყმულია მთელი რიგი სოფლებით, სადაც ექ. ი. **ჩიგოგიძე** სისტემატიურად დადიოდა მეურნეობის ცხენით და მკურნალობდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. მან **საექიმო** დახმარება გაუწია შემდეგ პირებს: **სოფ. ჯიხაურის მცხ. პავლე ბერიძეს, სოფ. ბალანთის მცხ. ვასილ ზედგინიძეს, სოფ. ბალანთის მცხ. ანეტა გოგოლაძეს, სოფ. ქისაურის მცხ. ანიკო ანანოვს, სოფ. ჯიხაურის მცხ. ხერაპოვს** და სხვ.

აღნიშნულ პირებს მკურნალობისათვის ექ. ი. **ჩიგოგიძე** ართმევდა ქათმებს, კვერცხებს, კარაქს და სხვ.

მთაში ექ. ი. ჩიგოგიძე საექიმო დახმარების მისაღებად მისულ მწყემსებს რითაც აფერხებს რძის ნაწარმის გეგმის შესრულების საქმეს.

**„მეურნეობის მეხვილი“**

# კულაკი თავს არხეინად გრძნობს

სოფ. ქობულეთში ცხოვრობს **ჰუსეინ მეგრელიძე**, რომლის მეურნეობა კულაკურია არსებითად, მაგრამ ამ გარემოებას ვერ „ამჩნევენ“ ადგილობრივი პარტსაბჭოთა ორგანიზაციები.

ხსენებულ მეგრელიძეს სახნავ - სათესი მიწა გაცემული აქვს სანახევროდ ღარიბ ერთპიროვნულ მეურნე გლეხებზე. ყოველწლიურად უშრომლად შემოსდის 240—250 ფუთი სიმინდი. მეგრელიძე ეწევა სპეკულიაციასაც: ქ. ოდესაში მიაქვს სას. - სამ. პროდუქტები (მანდარინა, ვაშლი და სხვ.) და იქიდან გასაყიდად მოაქვს სამრეწველო საქონელი.

ჰუსეინ მეგრელიძე თავის ბაღების დასამუშავებლად ხშირად მიმართავს „ალაბეგურ“ ნადს. უსასყიდლოდ ამუშავებს გლეხებს თავის ბაღში. ადგილობრივი სოფლის ორგანიზაციების კლასობრივი სიფხიზლის მოდუნების შედეგად ჰუსეინ მეგრელიძე იმდენად გათავხედდა, რომ ის სოფლის მაჟულად გამოდის არიგებს მოდავე მეზობლებს, ხოლო სამაგიეროდ თვითეული მათგანი ვალდებულია სამი დღე უსასყიდლოდ იმუშაოს მეგრელიძის მინდვრებსა და ბაღებში.

ყველაფერი ეს მხედველობიდან „გამოეპარათ“ სოფ. ქობულეთის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, მათ ვერ შეამჩნიეს კულაკი, რომელსაც მთელი სოფელი ამჩნევს.

ვხდით რა ნიღაბს კულაკ ჰუსეინ მეგრელიძეს, მოვითხოვთ მის ინდივიდუალურად დაბეგვრას და, როგორც სპეკულიანტს, პასუხისგებაში მიცემას.

ქობულეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიბლიოგრაფია

—:—

**ლ. სეგალი:** პოლიტიკური ეკონომიის მოკლე კურსი. მეორე გამოცემა, პარტგამომცემლობა, 1934 წელი.

მარქსისტული პოლიტ-ეკონომიის სახელმძღვანელო შემდეგ ძირითად მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს:

**პირველი:** მოსწავლე ახალგაზრდობას უნდა აძლევდეს სისტემატიურ ცოდნას მარქსისტულ-ლენინურ პოლიტ-ეკონომიის ძირითად კატეგორიებზე.

**მეორე:** პ.-ე. კურსის გადმოცემის დროს გარკვევით უნდა იქნეს ნაჩვენები კაპიტალიზმის წარმოშობის, განვითარების და დაღუპვის აუცილებლობა.

**მესამე:** სახელმძღვანელომ უნდა მოგვცეს პოლიტ-ეკონომიის ბურჟუაზიული და ანტიმარქსისტული თეორიების მკაცრი კრიტიკა;

**მეოთხე:** კაპიტალიზმის პოლიტ-ეკონ. კატეგორიების განხილვა დაკავშირებული უნდა იქნეს ჩვენს სოც. მეურნეობის საკითხებთან და ნაჩვენები იქნეს ამ კატეგორიების ჩვენში გამოყენების შეუძლებლობა.

**ლ. სეგალის** სარეცენზიო წიგნში ძირითადი მოთხოვნილებები პოლიტ-ეკონომიის სახელმძღვანელოსადმი კარგათ არის შესრულებული.

მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელოს ახასიათებენ ნაკლოვანებანი. სახელდობრ:

სახელმძღვანელოში მოცემული არ არის პოლიტ-ეკონომიის ვიწრო და ფართე გაგება, აგრეთვე საგნის განმარტებაც. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ავტორი ამ საკითხზე გაკვრით მაინც შეჩერებულიყო.

სეგალის აზრით ღირებულება სასაქონლო კაპიტალისტური მეურნეობის მოძრაობის კანონია, რომლის მოქმედებაც სტიქიურად ანაწილებს საზოგადოებრივ შრომას წარმოებათა შორის (იხ. გვ. 45). ეს შეხედულება სწორი არ არის, რადგანაც კაპიტალიზმის წარმოების აბსოლუტური კანონი და მამოძრავებელი ძალა ზედმეტი ღირებულებაა.

როდესაც შრომის საზოგადოებრივი ხასიათის სპეციფიურობას არკვევს ავტორი სასაქონლო კაპიტალისტური მეურნეობის დროს, მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შრომის საზოგადოებრივი ხასიათი იქ ადამიანის ენერგიის ფიზიოლოგიურ ხარჯვაში გამოიხატებოდეს (გვ. 48).

კაპიტალიზმის პირობებში შრომის საზოგადოებრივი ხასიათის გამომჟღავნებისთვის მთავარია გაცვლითი ურთიერთობა. ეს საკითხი მეტად ბუნდოვნათაა მოცემული. საჭირო იყო მეტი გარკვეულობა.

ფულის შესახებ დაწერილი თავი მოსწავლე ახალგაზრდობას ვერ მიაწვდის საკმაო ცოდნას ფულის მარქსისტული თეორიის შესახებ, რადგანაც არ არის მკაფიოდ გამორკვეული ფულის წარმოშობა, მისი ფუნქციების ურთიერთ კავშირი. არაფერია ნათქვამი საბჭოთა ფულზე. აგრეთვე არ არის მოცემული ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკა.

ბუნდოვნათაა კაპიტალის საყოველთაო ფორმულის წინააღმდეგობა მოცემული.

მუშათა კლასის აბსოლუტური გაღატაკების თეორიის განხილვის დროს ჯეროვანი ყურადღება ვერ არის მიქცეული მთელ მუშათა კლასზე, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკითხის სწორათ გადაჭრისათვის.

სეგალი, როდესაც ბანკების ახალ როლს ეხება, წერს:

„როდესაც თავისუფალი ფულადი კაპიტალი აღარ არის დაქსაქსული მრავალ რიცხოვან წვრილ ბანკებს შორის, არამედ კონცენტრირებულია მსხვილი ბანკების მცირე ჯგუფში, მაშინ ისინი უდიდეს ეკონომიურ ძლაუფლებას იპყრობენ და ბატონობენ მთელ მეურნეობაზე" (გვ. 273). ასეთი დებულების წამოყენების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ჰილფერდინგის თვალსაზრისზე არ დავდგეთ, რადგან ბანკები კი არ ბატონობენ უშუალოთ წარმოებაზე, — არამედ საფინანსო კაპიტალი ბანკების მეშვეობით. სეგალს რომ კარგათ არა აქვს წარმოდგენილი ბანკების ახალი როლი და მნიშვნელობა, იქიდანაც ჩანს, რომ ბანკების კონცენტრაციის ძირითადათ კრედიტის დარგში არსებული კონკურენციით ხსნის, მაშინ, როდესაც საფუძველი წარმოებების დარგში მომხდარი კონცენტრაციაა.

მიუხედავათ ჩამოთვლილი არა სწორი ფორმულირებებისა, წიგნის ქართულად გადმოთარგმნა მიზანშეწონილიცაა და სასარგებლოც, რადგან სეგალის წიგნი პოლიტ-ეკონომიის ძირითად პრობლემებს საერთოდ სწორად აშუქებს.

**შ. ჯინჭველეიშვილი**
**ააბ. კახეთელიძე**
**ანტ. სიმონია**

## ნორჩ მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

(ტფილისი)

ტფილისის სამხატვრო ტექნიკუმი მიმდინარე წელს დაარსდა. მის მიზანს შეადგენს: მოამზადოს პოლიტექნიკური საშუალო სკოლებისათვის ხატვა-ხაზვის მასწავლებლები და სამხატვრო აკადემიისათვის საშუალო კვალიფიკაციის მხატვართა კადრები.

ტექნიკუმმა მოკლე დროის განმავლობაში შესძლო მნიშვნელოვან წარმატებათა მოპოება, რასაც ადასტურებს ტექნიკუმის მიერ მოწყობილი აკადემიური, სასწავლო წლის შედეგების შემაჯამებელი, მხატვრული ნიმუშების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია პირველი კურსის 28 მოწაფისა და მეორე კურსის 18 მოწაფის მიერ შესრულებული მხატვრული პროდუქციის ნიმუშები, რომელთა ძირითად დამახასიათებელი თვისება ტექნოლოგიური მასალის მრავალფეროვანი დამუშავებაა.

გამოფენაზე განსაკუთრებით გამოირჩევიან მოწ. **ვ. ტოროტაძე**, რომლის ექსპონატები (ჩაის საბჭოთა მეურნეობა, გაზეთის კითხვა, რევოლუციონერის სიკვდილით დასჯა) ნათლად ამტკიცებენ, რომ ნორჩმა მხატვარმა შესძლო მოეცა ტილოზე ფერის კოლორიტის და კომპოზიციის სანიმუშო დალაგება.

მეტად საინტერესოა 15 წლის **ნათელა იანქოშვილის** ექსპონატები, რომელნიც ყურადღებას იპყრობენ მაღალი სამხატვრო კულტურით, ფუნჯის სითხით და მასობრივი სურათის კომპოზიციის სწორად გადმოცემით.

აღსანიშნავია რომ 14 წლის **შ. ციმაკურიძემ** შესძლო სწორი დამაჯერებელი ფერებით ზამთრის სურათის მოცემა.

საყურადღებოა პატარა **ქეთინო ხავთასის** სურათი „კულაკის მიერ კოლმეურნეობის ზვინის დაწვა".

ხაზვის განყოფილებაში მოცემულია გეომეტრიული და პროექციული ხაზვის კუთხეები. ამ განყოფილების მიზანია გვიჩვენოს მომავალი პოლიტექნიკური სკოლის მასწავლებელთა პროფილი. ხაზვაში. საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან: **ი. სუხიშვილი, ნად. ნიქაბაძე, ნათ. იანქოშვილი** და სხვანი.

ნახშირით ხატვის განყოფილებაში აღსანიშნავია **ქ. ხავთასის, ქ. ბოჭორიშვილის, ნადია ნიქაბაძის, ნათ. იანქოშვილის, არჩილ არსენიშვილის** და სხვა ორნამენტები და ბერძნული ქანდაკებათა სურათები.

ნორჩი მხატვარის **ივ. კარაპეტოვის** სურათი **„საბჭოთა ბოსტანი და ღორული დინგი"** წარმოადგენს ამხ. სტალინის მოხსენების ერთ ნაწილის საუცხოვო ილუსტრაციას და უდიდესი გარკვეულობით იძლევა ორი ქვეყნის დაპირისპირებას.

**გ. ფოცხიშვილს** მოცემული აქვს „ჩელუსკინელების გადარჩენის ერთერთი მომენტი", რომელიც გვიჩვენებს ჩელუსკინელების გმირულ მოქმედებას და ჩვენი ავიაციის სიძლიერეს.

სულ გამოფენაზე წარმოდგენილია ძერწვაში — 57 ნიმუში, ფერწერაში — 210, ხაზვაში 80, ხატვაში—125.

**შ. ჯიქია.**

* * *

## „დინამოს" ახალი სტადიონი

### მზად იქნება 7 ნოემბრისათვის

დაწყებულია და უკვე შენდება ტფილისში პროლეტ. სპორტული საზოგადოების—„დინამოს" ახალი სტადიონი, რომელიც დააკმაყოფილებს ტექნიკისა და სპორტის ყველა თანამედროვე მოთხოვნას.

სტადიონთან მოეწყობა სასტუმრო ჩამოსული ფიზკულტურელებისათვის, ბიბლიოთეკა, დარბაზი ლექციებისა და საუბრებისათვის, დარბაზი ფიზკულტურული გამოსვლების მონაწილეთათვის, ტრიბუნა მთავრობის წევრთათვის და სხვ.



სტადიონი, რომელიც ერთი საუკეთესოთაგანი იქნება მთელ ამიერ - კავკასიაში გაიხსნება ოქტომბრის რევოლუციის მეჩვიდმეტე წლისთავის დღესასწაულებზე — მიმდინარე წლის 7 ნოემბერს. სტადიონის მშენებლებმა იკისრეს ამ დავალების ვადაზე შესრულება.

**სურათზე:** სასტუმროს მშენებლობა სტადიონთან.

# მარგანეცის ახალი სარეცხი ქარხანა



ნახატი ემმა ლდიბერიძის.

ჭიათურაში, პერევისის მაღაროს მახლობლად, შენდება მარგანეცის დიდი ახალი სარეცხი ქარხანა, რომლის ექსპლოატაციაც უნდა დაიწყოს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში. ქარხანა საათში გარეცხავს 50 ტონა მადანს, წლიურად კი — 150.000 ტონას.

ამ ქარხნის გამოცდილების საფუძველზე შემდეგ აგებული იქნება მძლავრი ცენტრალური გამამდიდრებელი (სარეცხი) ქარხანა, რომელიც წლიურად გარეცხავს 900.000 ტონა მარგანეცს.

**სურათზე:** მარგანეცის სარეცხი ქარხნის მშენებლობა პერევისში.

## მეცნიერება და ტექნიკა

### აბასთუმნის ობსერვატორიაში ფართოდ უნდა დავაყენოთ ნივთიერების ანაგობის შესწავლის საქმე

ვარსკვლავთა შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელი ტექნიკისათვის და ფიზიკისათვის. ეს მართლაც ასეა, რადგან დღევანდელი ტექნიკისა და ფიზიკის მთავარ ამოცანას ნივთიერების ანაგობის გამოკვლევა წარმოადგენს.

ნივთიერების ანაგობის გამოკვლევა კი მოითხოვს მეტად ფართოდ დაყენებულ ექსპერიმენტს. სწორედ ამ თვალსაზრისით ვარსკვლავი წარმოადგენს საუკეთესო „ლაბორატორიას", სადაც თერმიული და წნევის პირობები ისეთი ფართე დიაპაზონით არიან მოცემული, როგორითაც ვერასდროს ვერ მივიღებთ ჩვენ „მიწიერ" ლაბორატორიებში. შევისწავლით რა ნივთიერების მდგომარეობას და ყოფაქცევას ვარსკვლავთა პირობებში, მით უფრო ღრმად ჩავწვდებით ნივთიერების აგებულებას, ბუნებას.

ატომური ფიზიკა, რომელიც წინააღმდეგობათა ღრმან ტყეში შეიჭრა, ეხლა ასტროფიზიკას შეჰყურებს დახმარებისათვის. თეორიული ფიზიკის შემდგომი ნაბიჯები იმდენად მტკიცე იქნება, რამდენადაც ამას თანამედროვე ასტროფიზიკის განვითარება განსაზღვრავს.

ყველაფერი ეს ცარიელი სიტყვები როდია. ეს დღევანდელი მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნაა. ეს ის დასკვნაა რომელიც აერთებს ეხლა ფიზიკოსებს და ასტროფიზიკოსებს ბუნებისა და ნივთიერების შეთანხმებულ გამოკვლევა-შესწავლისათვის.

აბასთუმნის ობსერვატორიას ყველა პირობები გააჩნია მუშაობის გასაშლელად ამ მიმართულებით.

მაგრამ იმისათვის, რომ კვლევაძიება ნაყოფიერად მიმდინარეობდეს დასახელებული პრობლემების გადასაჭრელად, აუცილებლად საჭიროა ორიგინალური კონსტრუქციის მზის დიდი ტელესკოპისა და მძლავრი 60—80 რეფლექტორის აგება აბასთუმნის ობსერვატორიისათვის.

აქამდე ასეთ დიდ ასტრ. იარაღებს მხოლოდ საზღვარგარედ ამზადებდნენ. ამჟამად საბჭოთა კავშირს ყველა საშუალება გააჩნია იმისათვის, რომ ასეთი იარაღები დამზადებული იქნენ ჩვენშივე ძალებით.

**ევგენი ხარაძე**
**აბასთუმნის ობსერვატორია.**

* * *

## ფოთის კეთილმოწყობა

ქალაქ ფოთის კეთილმოწყობისათვის საქალაქო საბჭო მიმდინარე წელს ატარებს მნიშვნელოვან სამუშაოებს; ჩქარი ტემპით წარმოებს ჭაობიანი ადგილების ამოშრობა. ძირითადად დამთავრებულია ქალაქის დაგეგმვა.

დიდი ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას. მიმდინარე წლის განმავლობაში განზრახულია ქალაქის სასტუმროს დამთავრება. მიმდინარე წელსვე უნდა დამთავრდეს მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა ახალი შენობა.

ფოთში შენდება დიდი თეატრი; ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა თეატრის ვადაზე ადრე დასამთავრებლად.

ქალაქის გასალამაზებლად მოკირწყლული და გამწვანებულია მთელი რიგი მთავარი ქუჩები, წარმოებს ხიდების შეკეთება. წყალსადენის მოსაწყობად მიმდინარეობს მიწისქვეშა წყლების გამოკვლევა.

## სასამართლო

### „მეგობარი"

„ას მანეთს ასი მეგობარი სჯობიაო" — ამბობს რუსული ანდაზა.

ამ ანდაზის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა საქ. „გზატრანსის" დახურული კოოპერატივის ბუღალტერს ირაკლი **ზალდასტანიშვილს**, მხოლოდ შემდეგი შესწორებით: თუ თვითეულ მეგობარს ას-ას მანეთზე ნაკლებს არ ჩამოართმევდა.

აი, მაგალითად, ის იყო უგულითადესი მეგობარი **სერგო კლიმიაშვილის** ჯერ კიდევ ბინათკავშირში ერთად მუშაობისას. კლიმიაშვილი ბინათკავშირიდან გადაიყვანეს „საქგზატრანსის" დახურული კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ. „გულითადი მეგობარიც" თან გაჰყვა კლიმიაშვილს. მეგობრობა გადატანილ იქნა უფრო ნაყოფიერ, კოოპერატიულ ნიადაგზე დეფიციტური საქონლის განწრით.

კლიმიაშვილი და მისი ბუღალტერი მუდამ-დღე მეგობრობაზე და ერთიმეორის ღვთანაზე ლაპარაკობდნენ, როგორც იტყვიან „ერთმანეთს პირში სულს უბერავდნენ". რაც გამგეს უნდოდა, ის უნდოდა ბუღალტერსაც და პირიქით. მაგრამ როცა რევიზიამ 6.000 მანეთის დანაკლისი აღმოაჩინა, მეგობრობის ხიდი ჩატყდა, გაითხარა უფსკრული.

— რასაკვირველია, ბუღალტერს აქვს გასამართლებელი საბუთები — ლაპარაკობს გამგე.

— რაო, ბუღალტერი რა შუაშია? გამგე ის არის და თუ რამე აკლია, მან და მისმა სინდისმა იცოდეს. — ლაპარაკობს ბუღალტერი **ზალდასტანიშვილი**.

შეჭირვებულმა მეგობარმა, ბუღალტერმა, სიმედო დასაყრდენმა, საგანგებოთ გადმოყვანილმა ბინათკავშირიდან განსაცდელის დროს ამჯობინა თავის დაძვრენა. „ჯერ თავო და თავოო" — თქვა მან და დანაშაულის მთელი სიმძიმე გადაიტანა მეგობარ გამგეზე.

ალიძრა საქმე სისხლის სამართლის წესით. მთელი დანაკლისი 6.000 მანეთის რაოდენობით ბუღალტერმა თავს მოახვია გამგეს. უზენაეს სასამართლოს კოლეგიამდეც მივიდა მე. გამგე კლიმიაშვილს თავს დასტრიალებს 1932 წლის 7 აგვისტოს კანონი..

მაგრამ სასამართლოს გამოძიებისას გამომჟღავნდა სულ სხვა ამბავი. დაიწყო ხელ ახალი გამოძიება და დოკუმენტების შემოწმებით დადასტურდა, რომ მთელი ეს თანხა „უკლაპავს" მეგობრად შეჭირვებულ ბუღალტერ ზალდასტანიშვილს, ხოლო თავის დაძვრენის მიზნით გამგის ჩასაგდებად ხაფანგი დაეგო.

საქმე გაარჩია უზენაესმა სასამართლომ. ზალდასტანიშვილს მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გამგეს — კლიმიაშვილს მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და უყაირათობისათვის — ერთი წლით იძულებითი მუშაობა.

**ზერ.**

## ამინდი საქართველოში

**19 ივნისის დილის 8 ს. 20 ივნისის დილის 8 საათამდე**

**დასავლეთ საქართველოში** მთელი დღე-ღამის განმავლობაში იდგა მშრალი და მოწმენდილი ამინდი. დღისით ქროდა დასავლეთის სუსტი ქარი, რომელმაც ღამით მიმართულება შეიცვალა აღმოსავლეთისაკენ. მდ. რიონის ხეობაში ქარი გაძლიერდა. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 18-დან (ონი, წიფა) 23 გრადუსამდე (სამტრედია) და ღამით 5 გრადუსიდან (ონი) 14 გრადუსამდე (ქუთაისი).

**აღმოსავლეთ საქართველოში** ყველგან იდგა მშრალი ამინდი ცვალებადი მოღრუბლულობით. დღისით ქროდა სუსტი ზომიერამდე ქარი; ღამით კი ქარმა დაიწყო ქროლვა აღმოსავლეთიდან. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 8 გრადუსიდან (გუდაური) 23 გრადუსამდე (ტფილისი) და ღამით 2 გრადუსიდან (აბასთუმანი) 12 გრადუსამდე (თელავი, ლაგოდეხი).

**მოსალოდნელი ამინდი 21 ივნისისათვის:** დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით დასავლეთის ქარის გაძლიერება და ტემპერატურის მცირე დაკლება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, ხოლო ნაშუადღევს დასავლეთის ქარის ზრდა. მოსალოდნელია აგრეთვე ტემპერატურის მცირე დაკლება.

* * *

## ტყავის მე-2 ქარხანას აფართოებენ

22 ივნისიდან დაიწყება ტფილისის ტყავის მეორე ქარხნის გაფართოება, რისთვისაც მსუბუქ მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მიმდინარე წლისათვის გადასდო 80 ათასი მანეთი, საპროექტო დაწესებულებამ „სახპროექტმა" უკვე შეადგინა ქარხნის გაფართოების გეგმა, რომელიც სხვათაშორის ითვალისწინებს ტყავის დამზადების ყველა პროცესის ერთ შენობაში თავმოყრას.

ქარხნის გაფართოებისათვის ყველა საჭირო მასალა უკვე მზადაა.

რეკონსტრუქციის შემდეგ ტყავის ქარხანა ნაცვლად 500 ზედაპირისა დღეღამეში დაამზადებს 1.000 ცალ ზედაპირს.

ტყავის ქარხნის მოსაწყობად თანამედროვე ტექნიკის მიხედვით, სათანადო ქარხნებს შეკვეთილი აქვთ ახალი მანქანები. ქარხნის მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წელს. მთლიანი რეკონსტრუქცია კი —მომავალ 1935 წელს.

## დოღი

18 ივნისს გათამაშდა ორი დიდი ჯილდო: ამ.-კავკასიის ჯილდო ორწლიან ცხენებისათვის — 2.000 მანეთი და სრულიად საქართველოს დიდი ჯილდო სამ-წლიანთათვის — 5.000 მანეთი.

ა.-კ. ჯილდოს მიღებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან საქართველოდან „ლახტი", „გიზელა" და „მარდი", სომხეთიდან — „აზამატი", ჩრდილოეთ-კავკასიიდან — „სმერჩი" და „სიგარა".

გაიმარჯვა „ლახტმა", რომელმაც მანძილი 1.500 მეტრი 1 წუთსა და 42 წამში დაფარა, მეორე ადგილზე გამოვიდა „სმერჩი".

განსაკუთრებით საინტერესო იყო სამწლიანი ცხენების შეჯიბრება სრულიად საქართველოს დიდი ჯილდოს (5.000 მანეთი) მიღებაში. ერთმანეთს ეჯიბრებიან ღირსეული მეტოქეები: საქართველოდან — „ლაგოდეხი", „ოსნოვა", „ობჩა", უკრაინიდან — „პასივი", სამხრეთ-ოსეთიდან — „ფიდარ", ჩრდილოეთ-კავკასიიდან — „მელოდინნაია", რომლებსაც არაერთხელ აუღიათ პირველობა.

დოღი წაიყვანა „ობჩამ", რომელიც სტარტიდან ელვის სისწრაფით გაექანა წინ. მანძილის შუა მანძილიდან გამწვავდა შეჯიბრება. ახლა უკვე წინ არიან პირველნი საუკეთესოთა შორის — „პასივი" და „ლაგოდეხი". ფინიშს უახლოვდებიან. „ლაგოდეხი" (მოჯირითე ხაინდრავა) წინაა. იწყინა „პასივის" მხედარმა (მაქსიმოვი). წკეპლა შემოკრა ცხენს, მაგრამ... „ლაგოდეხი" პირველი მოვიდა ფინიშთან, მანძილი 2.400 მეტრი მან 2 წუთსა და 42 წამში დაფარა.

დანარჩენ შეჯიბრებებში ფინიშთან პირველი მოვიდნენ: „სინათლე", „ფშაველი" (საქართველო); „კრუჩინა" (ჩრდილოეთ-კავკასია), „ეგრიკა" (უკრაინა).

მოხალისე მოჯირითეთა შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მოვიდა „დილ-დილ" (თავდაცვაავიაქიმის. მოჯირითე კრუჩკოვი).

**ჭ.**

* * *

## ახალი წიგნები

### სახელგამის აპრილის გამოცემა

**პ. შარია** — 1924-1934 წ. ლენინის გარდაცვალების ათი წლის აღსანიშნავი კრებული; ტირ. 4.000. ფ. 3-50 კ.

**ი. კონარსკი** — დეკაბრისტთა ბელადები; თარგმანი ძოწუაშვილის, ტირ. 5000 ფ. 1-40 კაპ.

**დ. გედევანიშვილი** — თეთრი ნაზირი; ტ. 30.000. ფ. 1 მან.

* * *

## ჭადრაკი

### ა.-კ. მოჭადრაკეთა საქალაქთაშორისო შეჯიბრება

დასრულდა ა-კ. მოჭადრაკეთა საქალაქთაშორისო შეჯიბრება ჭადრაკში. საბოლოო შედეგი ასეთია:

**პირველ ჯგუფში:** **სერედა** და **შიშოვი** + 7-ნახევარი (ტფილისი), **ნაზანიანი** + 7 (ლენინაკანი), **გამბარაშვილი** + 6 (ტფილისი), **კარჩიკიანი** + 5 (ერევანი), **ბორისენკო** + 4 (ბათომი), **ევგენიევი** +3-ნახ. (სოხუმი) და **ფაინი** (განჯა) 0

ამრიგად შეჯიბრების პირობის თანახმად **სერედა**, **შიშოვი** და **ნაზანიანი** ღებულობენ პირველ კატეგორიას.

**მეორე ჯგუფში:** **სელიმხანოვი** (ბაქო), **პენდრაკოვსკი** (ბათომი) და **ლავა** (ტფილისი) + 6-ნახევარი, **ფალავანდიშვილი** (ტფილისი) + 6, **ათაბეკიანი** (ერევანი) და **რუდნევი** (სოხუმი) + 4-ნახ., **კომაროვი** (სოხუმი) + 4, **ოლტეციანი** (ლენინაკანი) + 3-ნახ., **სარტოგანოვი** (ბათომი) + 3 და **პაშკოვსკი** (განჯა) + 0.

ფირცხალავამ და პენდრაკოვსკიმ მიღწეული შედეგით მოიპოვეს პირველ კატეგორიის სახელწოდება.

ფინალში, რომელიც დაიწყება დღეს, 18 ივნისს, დილის 10 საათიდან ითამაშებენ: სერედა, ფალავანდიშვილი, ფირცხალავა, ნაზანიანი, შიშოვი და პენდრაკოვსკი პირველი ორი გამარჯვებული ფინალში, მონაწილეობას მიიღებს ა.-კ. მოჭადრაკეთა დიდ ჩემპიონატში, რომელიც მოეწყობა აგვისტოში ქ. ტფილისში.

მოთამაშეთა შეჯიბრების შედეგი ასეთია: მაესტრო **პოტაპოვი** (მოსკოვი) და **ზელიკმანი** (ბაქო) + 7-ნახ., **მიკირტუნი** + 8-ნახევარი (ბაქო), **ხაჩატუროვი** + 7-ნახ. (ბაქო), **ადამიანი** + 6 (ტფილისი), **გოხტირეგვიჩი** + 5-ნახ. (ბაქო), **რაკანტი** (ტფილისი) და **შჩეგლოვი** (სოხუმი) + 5. **ნიკონოვი** + 4-ნახ. (ბათომი), **შატოვი** + 3-ნახ. (სოხუმი), **არტემოვი** + 2-ნახ. (ტფილისი) და **ენგიბაროვი** (განჯა) + 0.



**ამხანაგური მატჩი მაესტრო მ. მაკაგონოვსა და ა. ებრალიძეს შორის დასრულდა ებრალიძის გამარჯვებით**

დასრულდა ამხანაგური მატჩი მაესტრო მ. მაკაგონოვსა და ა. ებრალიძეს შორის. შედეგი ასეთია: + 3 — 2 ებრალიძის სასარგებლოდ. ეს შედეგი უსათუოდ მოწმობს, რომ ებრალიძეს დიდი მომავალი აქვს.. მორიგი გამარჯვება უსათუოდ დააყენებს საკითხს რომელიმე მაესტროსთან საკვალიფიკაციო მატჩის მოწყობის შესახებ. ებრალიძე ძლიერია დებიუტსა და შუა თამაშში. შედარებით სუსტია ენდშპილში, მას ძირითად ნაკლს კი წარმოადგენს სიჩქარე.

**დალი**

---

რუსთაველის
თეატრი
სახ. აკადემიური
ხელმძღვანელობით

21 ივნისს
14 აბ. 10 წარ.
„რღვევა"

სეზონის დახურვა
22 ივნისს
აბონ. გარეშე
„In tirannos"

სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

---

ოქტომბერი
6-30, 8, 9-30, 11

დამკვრელი საზაფხ.
-15 11

დამკვრელი საზამთ.
6-30, 8, 9-20. 11
ფოიეში ჯაზი

ეთერი საზაფხ.
9-15 11

I სერ. ტემპი (საზამთ.)
II სერ. (საზაფხ.)

„26"-ის სახ.
კვას. 6-30, 9-15, 10

რ. ლიუქსემბურგის სახელობის
6-30, 8, 9-30, 11

„კომინტერნი" საზაფ.
(დიდუბე) 9, 11

დიდი ხატვ. ხმოვანი ფილმი
„ანენკოვშჩინა"
პროგრ. გარ. ს. კ. ჟ. № 11

მხატვრული სათავგადასავლო ფილმი
„ლამურები"
რეჟისორი ი. პერესტიანი. ოპერატორი—ა. დიღმელოვი. მთ როლებში: ძარია და ალ. შირაები.

„მორცხვი"
კომედია
გაროლდ ლოიდის მონაწილეობით

ახალი მხატვრული კომედია
„მიყვარხარ?"
ზამთრისაში 7 ს. საზაფხულოში 9 საათზე

მხატვრული სურათი
„მეფის მეზღვაურები"

ხმოვანი კინოდოკუმენტი, ფილმი
„თეთრი ზღვის არხი"
პროგრ. გარ. საბჭ. ხელოვნ. № 10 ს. კ. ჟ. №

„გიული"
ნატა ვაჩნაძის მონაწილეობით

---

22 ივნისს დილის სრულ 10 საათზე კულტურისა და დასვენების პარკში (პლეხანოვის ქ. № 105), შესდგება ტფილისის დაწყებითი და საშუალო სკოლის

## დირექტორების და მასწავლებელთა საქალაქო შეკრება.

დღის წესრიგი:

1. 1933 34-სამოსწავლო წლის შედეგები და მომავალი სამოსწავლო წლის ამოცანები სასკოლო მშენებლობის შესახებ საკავშირო სახ. კომ. საბჭოს და ს. კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელ დადგენილებათა მიხედვით (მომხ. ქაცარავა).
2. დამკვრელთა დაჯილდოება.

791 ტფ საბჭოს განათლების განყოფილება.

---

**თბილსათბობის დირექცია** აცხადებს იმ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომელთაც ტფილსათბობისაგან უნდა მიიღონ შეშა მუშების და მოსამსახურეების მოსამარაგებლად 1934—35 წლის თბობის სეზონისათვის, რომ ა. წ. 22 ივნისიდან 30 ივნისამდე მთავრდება ხელშეკრულებების დადება შეშის მიწოდებაზე ტფილისის საბჭოს სათბობი კომიტეტის მიერ დაწესებული ლიმიტიბის მიხედვით.

ორგანიზაციები, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ დასდებენ ხელშეკრულებას, 1934 წელს შეშას არ მიიღებენ.

ხელშეკრულებების დადების საკითხზე ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ ამხ. გაწერელიას, მაზუთის შესახვევი № 5, ტელ. 18-56.

2-1 798 დირექცია.

---

## ტფილისისკომუნალურ მშენებლობის ტექნიკუმში მიღების პირობები

### 1934—35 სასწავლო წლისათვის

**ტფილისის კომუნალურ მშენებლობის ტექნიკუმი** ამზადებს სპეციალისტებს (ტექნიკოსებს, ფართო პროფილით) კომუნალური მეურნეობისათვის შემდეგი განხრებით: ა) კომუნალური მშენებლობის ბ) საალმშენებლო - საარქიტექტურო და გ) სახანძრო.

**შენიშვნა:** სახანძრო განხრაზე ჩარიცხვა ხდება ცენტრალურ სახანძრო სამართველოს მივლინებით.

ტექნიკუმში მიიღება ახალგაზრდობა 16 წლიდან 22 წლამდე, რომელთაც აქვთ დასრულებული 7 წლედი ან ისეთი სასწავლებელი, რომელიც ანიჭებს ტექნიკუმში შესვლის უფლებას.

განცხადება გამოცდებზე დასაშვებად შემოტანილი უნდა იქნეს ხსენებულ ტექნიკუმში სპეციალობის აღნიშვნით და შემდეგი საბუთების დართვით:

ა) მოწმობა სოც. წარმოშობის, და შრომის სტაჟის (განმცხადებლის ან მისი მშობლების) დადასტურებული სათანადო ორგანოების მიერ.

ბ) განათლების, გ) წლოვანების, დ) ჯანმრთელობის, ე) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების მოწმობები და ვ) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

მიღება იწარმოებს გამოცდების ჩაბარებით შემდეგ საგნებში: რი), ბ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), გ) კლასთა ბრძოლის ისტორიაში, დ) ფიზიკასა და ე) ქიმიაში.

**შენიშვნა:** საალმშენებლო საარქიტექტურო სპეციალობისათვის დამატებითი გამოცდა ხატვაში.

ტექნიკუმისათვის უკეთესი კონტინგენტის შერჩევის მიზნით ტექნიკუმთან საქართველოს კომუნალურ მეურნეობის სახკომისარიატი ხსნის **მოსამზადებელ კურსებს უფასოდ.**

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს. 25 ივნისიდან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შესასვლელი გამოცდები იწარმოებს 21-დან 29 აგვისტომდე. მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს. განცხადებების მიღება 1 სექტემბერს. განცხადებების მიღება დაიწყება 10 ივნისიდან კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმის კანცელარიაში საღამოს 4-დან 8 საათამდე.

მისამართი: შიო ჩიტაძის ქ. № 13.

**საქ. კომ. მეურნეობის სახკომი პ. წულუკიძე.**
**ტექნიკუმის დირექტორი ა. ჭავჭანიძე.**

---

## საქართველოს დაუსწრებელი პედინსტიტუტი

28 ივნისიდან ატარებს ა/წ. პირველ საგამოცდო სესიებს შემდეგ პუნქტებში: **სენაკში**—28 ივნისიდან 3 ივლისამდის, **ბათომში**—1 ივლისიდან 3 ივლისამდის, **ქუთაისში**—4 ივლისიდან 7 ივლისამდის, **ტფილისში**—8 ივლისიდან 12 ივლისამდის.

დაუსწრებლები უნდა გამოცხადდნენ საგამოცდო პუნქტებზე განათლების განყოფილებებზე და თითოეულ დაუსწრებლებზე წინასწარ დაგზავნილ ცნობების თანახმად.

განსახკომის პედკადრების მომზადების სამმართველოს უფროსი—**კ. ბერიძე.**
დ. პ. ი. დირექტორი—**მ. შუშაშვილი.**
3793

---

**უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტი და ინსტიტუტები) შემსვლელთათვის მასწავლებლების მიერ შედგენილია**

## კითხვა-პასუხი და კონსპექტები

**სხვადასხვა საგნებში.**

**მიზანია:** გამოცდების ჩაბარების წინ ხელი შეუწყოს გამოსაცდელ საგნების განმეორებას.

მოიკითხეთ შემდეგი მისამართით: მარტის ქ. № 6 (ვერის ბაზრის უკან).

2-1 ნ. 272

---

## ტფილისის პოლიტექნიკური შრომის პედაგოგიური ტექნიკუმი

### აცხადებს მიღებას 1934/35-სასწავლო წლისათვის. მიღებული იქნება 80 კაცი ქართულ სექტორზე.

ტექნიკუმი ამზადებს პოლიტექნიკური შრომის ხელმძღვანელებს (მასწავლებლებს) არა სრულ და სრულ საშუალო სასწავლებლისათვის. (სწავლების კურსი ოთხწლიანი.)

1. ტექნიკუმში მიიღება ახალგაზრდობა, რომელთაც დამთავრებული აქვთ არა სრული საშუალო სასწავლებელი 15-დან 21 წლამდე.

**შენიშვნა:** არა სრულ საშუალო სასწავლებლის უკანასკნელ კურსიდან გამოსულნი გამონაკლისის შემთხვევაში დაიშვებიან ტექნიკუმთათვის მოსამზადებელ კურსებზე საიდანაც სათანადო გამოცდებით გადაიყვანებიან ტექნიკუმში.

2. ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით (პირველ კურსზე 40 მანეთამდე), დახურული განმანაწილებლით, და შეღავათიანი სადილებით რაიონებიდან ჩამოსულები საერთო საცხოვრებლით)

3. განცხადებას გამოცდებზე დასაშვებად უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები
   - ა) სოც. წარმოშობის
   - ბ) განათლების
   - ვ) ჯანმრთელობის
   - გ) ორი ფოტოგრაფიული სურათი და შევსებული ანკეტა

4) მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:
   - ა) ქართულ ენაში (ზეპირი და წერა)
   - ბ) მათემატიკაში (ზეპირი და წერა)
   - ვ) ისტორიაში
   - გ) ფიზიკაში
   - დ) ქიმიაში

5. სათანადოდ მომზადებულ კონტინგენტის შერჩევის მიზნით ტექნიკუმთან იხსნება თვენახევრიანი მოსამზადებელი კურსები უფასოდ ა/წ. I/VIII 15 აგვისტომდე.

6. ტექნიკუმში შესასვლელი გამოცდები იწარმოებს 25/VIII-28/VIII-მდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

7. განცხადებების მიღება—ა/წ. 1 ივლისიდან.

8. ტფილისის 26 კომუნართა რაიონის ქართული არა სრული საშუალო სასწავლებლები რაიონის განათლების განყოფილების განრიგებით დაწესებულ კონტინგენტს სიით და დოკუმენტებით გზავნიან ა/წ. 25 ივნისამდე.

ტექნიკუმის მისამართი: ბებელის მოედანი № 3

3785 ტექნიკუმის დირექტორი **მამალაძე.**

---

**დაკარგა** ტყავის შავი პორტფელი სხვა და სხვა საბუთებით (ერთი ბუღალტერიის წიგნით) მპოვნელს ვთხოვ ჩააბაროს ტფილისის ჯანგანყოფილებაში სომხის ბაზარში № 4 მ. ხელ უროტაძეს. რისთვისაც მიიღებს ჯილდოს 3801.

**დაიკარგა** ლენინის რაიონის განათლების განყოფილების ოვალი ბეჭედი ჩ. გ. 3796.

---

დამწუხრებული დედმამა: კონსტანტინე, პასიკო. ძმები: საშა, გრიშა ცოლშვილით დები კეკელო, მარო, ზინა, ლოლია, სიძე მ. კეთილაძე — იუწყებიან, 24 ივნისს ქ. ქუთაისში 6-ს. ოლასკურაზე დანიშნულია დაუვიწყარ

**რაჟდენ კვერნაძის**

სამოქალაქო პანაშვიდი

---

გულდამწვარი ცოლი მაკონა, შვილები: ვანო, ტოლია, კოლია, სიმონი, პაშა ოჯახებით იუწყებიან მათი საყვარელი ქმრის და მამის

**მალაქია ჯაფარიძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება 21 ივნისს ს. ბოყვაში (რაჭა)

---

იოსებ ვასილის-ძე სიდამონ-ერისთავი შვილებით გულითად მწუხარებას უცხადებს საყვარელ ნუცას მისი დაუვიწყარი მოამაგე დედის

**ლილოსი ივანეს ასულ ფურცხვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

დამწუხრებულნი: მეუღლე ალექსანდრე ნათელათი, დები: ევგენია მიქელაძისა, იულია ნიჟარაძისა ქმარშვილით, იუწყებიან რომ 24 ივნისს ქ. ქუთაისში დანიშნულია ძვირფასი

**ოლია ნასარიძე-გიგინეიშვილის**

სამოქ. პანაშვიდი

---

ლადო, დათიკო და ვარლამ სიმონის-ძე ბუხრაშვილები თავიანთი ცოლშვილით მწუხარებას გამოსთქვამენ სიცოცხლით აღსავსე, მუდამ დაუვიწყარი ბიძაშვილის

**პარმენ გიორგის-ძე ბუხრაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

დამწუხრებული მშობლები: პლატონ, მარო, სიძეები: ამბერკი, დათიკო, ძმა გივი, დები: ვენერა, ზოია, დუნია, იუწყებიან, რომ ქ. ხონის, სასაფლაოზე 23 ივნისს დანიშნულია

**ლენა ფანცულაიას**

სამოქ. პანაშვიდი

---

ორჯონიკიძის სახელობის მე-4 რაისაბჭოს საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე განყოფილების თანამშრომელს ამხ. მარო ბაქრაძეს მისი საყვარელი დედის

**ლილოსი ივანეს-ას. ფურცხვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ოლია და იოსები ხორშელი პატარა კაკოთი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი მეგობრის ნინო გვაჯავას მამის

**ნოე მანუჩარიძე კახიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზუგდიდის ქალაქის საბჭოს პარტკომი ღრმა მწუხარებით იუწყება პარტკომის წევრის, მებრძოლი ბოლშევიკის ამხ.

**გიორგი ნიკოს-ძე ჯალაღონიას**

მოულოდნელად გარდაცვალებას

---

პედსადგურის პედაგოგიური კოლექტივი და მშობელთა დამხმარე საბჭო თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. დავით დონდუას საყვარელი მამის

**დარისპან დონდუას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს კ.პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომი და რაიაღმასკომი უღრმესი მწუხარებით იუწყებიან პარტიის წევრის, საუკეთესო მუშაკის, კომუნალური განყოფილების გამგის ამხ.

**გიორგი ჯალაღონიას**

უეცრად გარდაცვალებას

---

დამწუხრებული მეუღლე ქეთო ლასხიშვილი — ჩხეტიანისა, აუწყებს ნათესავ - მეგობრებს რომ 24 ივნისს სოფ. ლვირიშში (ცაგერის რ.) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

**ანტონ გრიგოლის-ძე ჩხეტიანის**

ხსოვნის აღსანიშნავათ

---

ზუგდიდის ქალაქის საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, აქტიური მუშაკის კომუნალური განყ. გამგის ამხ.

**გიორგი ნიკოს-ძე ჯალაღონიას**

გარდაცვალების გამო .

---

საქ. პროფსაბჭოს აბასთუმნის სანატორიუმის თანამშრომლები იზიარებენ ამავე სანატორიუმის ექიმის თანაშემწის ოლღა დონდუას მწუხარებას მისი მამის

**დარისპან დონდუას**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი ამხანაგები: დ. კიკნაძელიძე, ქ. ჭკადუა, ი. ბლუაშვილი, შ. ჭუმბურიძე, ი. გოგია, ბ. ამაშუკელი, ვ. პაიჭაძე, ჯ. ემუხვარი, ა. ფარცვანია მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ადამიანის

**გიორგი ნიკოს-ძე ჯალაღონიას**

უდროოდ გარდაცვალებას

---

ღრმად დამწუხრებული შვილები: ნინა, გრიგოლი, ვერა, ვლადიმერი, შვილიშვილი ილია იუწყებიან ძვირფას

**ბახვა გვილავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა სამიქაოში 21 ივნისს 4 ს.

---

გულდაწყვეტილი მეუღლე მარო, შვილი რობერტი მშობლები: ზაქარია, ნინო ლეიაშვილები იუწყებიან, რომ 24 ივნისს 1 ს. ქ. სიღნაღში დანიშნულია დაუვიწყარ

**გიორგი ლეიაშვილის**

სამოქ. პანაშვიდი

---

შვილები ეკატერინე ვაჟით, მარიამი შვილებით, ნინა ქმრით, ელისაბედი, ბორისი მწუხარებით იუწყებიან საყვარელი

**ლილოსი ივანეს ასული ფურცხვანიძის**

გარდაცვალებას, სამოქ. პანაშვიდი დღეს 8. ს. გამოსვენება 22 ივნისს 5 1/2 ს. გრიბოედოვის ქ. № 5.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68
მთავლიტის რწმუნებული ა 2018